# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 3 მარტი. 2020 წ. №39 (8965) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი





## „საქართველო მშვიდობის კუნძულად უნდა გადავაქციოთ!.. ③

⑤ **ნიკოლოზ ჩხეიძე:**

## ვის უცხადებთ ბოიკოტს, მატრაკვეცა ოპოზიციავ, ჩვენ, ემიგრანტებს?!

**ომარ მარგველაშვილი:** ④

## როდემდე ბატონებო, როდემდე?

## ახლო აღმოსავლეთი ადუღდა!

## თურქეთსა და სირიას შორის ომი დაიწყო!

**მას შემდეგ, რაც ერდოღანის მიერ სირიის არმიისთვის მიცემული ულტიმატუმის ვადა ამოიწურა შეიარაღებული ძალების იდლიბის პროვინციიდან გაყვანის თაობაზე, თურქულმა ჯარმა მასირებული შეტევა დაიწყო ფრონტის მთელ მიმართულებაზე სირიული სახმელეთო ძალების გასანეიტრალებლად.**

გავრცელებული ინფორმაციით, აქტიურად მუშაობენ თურქული ფ-16-ის ტიპის ავიაგამანადგურებლებიც, რომლებიც ამუშავებენ სირიელთა პოზიციებს. თავის მხრივ ვრცელდება ფაქტები რუსული თვითმფრინავების აქტიური მოქმედების შესახებ, რომლებმაც, როგორც ადგილობრივი მედიასაშუალებები იტყობინებიან, გზა გადაუჭრეს თურქულ საფრენ აპარატებს.

ტვიტერზე გაცხადებული ინფორმაციით, რუსულმა ფლოტმა ხმელთაშუა ზღვიდან კალიბრის ტიპის 14 ფრთოსანი რაკეტა გაუშვა ფრონტის ხაზზე...

ასევე რამდენიმე საათით ადრე გავრცელდა ერდოღანის მიმართვა „ტვიტერის" ქსელით, სადაც იგი თავისი ერის გამარჯვების აუცილებლობასა და ინტერესების დაცვაზე საუბრობდა.

იდლიბის მოსაზღვრე ჰატაის პროვინციაში ჩავიდა თურქეთის თავდაცვის მინისტრი და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი, რომლებიც მეთაურობენ არმიის შეტევის მიმართულებას. ასადი იდლიბში ცოცხალი ძალის დამატებით ნაწილებს უყრის თავს.

## თურქეთზე თავდასხმა ნატოზე თავდასხმაა!.. ⑥

# მამუკა მდინარაძე: თუ 9 მარტამდე შეთანხმება არ შედგა, არჩევნები ძველი მოდელით ჩატარდება!



**„თუ ოპოზიციამ არ გამოიგონა რაიმე მიზეზი, რომელიც შეიძლება უარის თქმის საფუძვლად გამოდგეს, სხვა შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება“,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ საარჩევნო სისტემაზე საუბრისას განაცხადა.

მამუკა მდინარაძის თქმით, მმართველი გუნდის მიერ დახვეწილი, სამართლიანი და პროპორციულთან მიახლოებული სისტემა არის მოფიქრებული.

**„სხვა შემთხვევა, სხვა ფაქტი არ არსებობს გარდა იმისა, რომ შეთანხმება უნდა შედგეს, იმდენად დახვეწილი, იმდენად პროპორციულთან მიახლოებული და სამართლიანი სისტემა იყო მოფიქრებული მმართველი გუნდის მიერ. მაქსიმალური თეორიული დრო არის 9 მარტი, სხვა შემთხვევაში უკვე თეორიულადაც ვეღარ ვასწრებთ შესაბამისი ცვლილებების მიღებას და თუ ისინი არ წამოვლენ ამაზე, მაშინ მოუწევთ განმარტება მისცენ საზოგადოებას, რატომ თქვეს უარი რამდენიმეგვარ დაზღვევის მექანიზმზე, რომელიც გამორიცხავდა მათ წუხილს. ერთპიროვნულად „ქართული ოცნება“ ცვლილებებს ვერ გაიტანს იმიტომ, რომ მას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ აქვს და მას სჭირდება ოპოზიციის მხარდაჭერა. იმ შემთხვევაში, თუ ეს შეთანხმება ვერ შედგა და პარლამენტმა ცვლილება ვერ მოახდინა სწორედ მათ გამო, ამ შემთხვევაში არჩევნები ჩატარდება არსებული მოდელით“,** — განაცხადა **მამუკა მდინარაძემ.**

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ინფორმაციით, შემდეგი შეხვედრის გამართვის თარიღი და ასევე შეთანხმებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თარიღი არის 9 მარტი და თუ 9 მარტამდე შეთანხმება არ შედგა, **„ვერც პრაქტიკულად და ვერც თეორიულად, შეძლებენ კონსტიტუციაში მათი მოლაპარაკებების შედეგის ასახვას“.**

# ზიარების კოვზი არასოდეს ვირუსს არ შეგყრით!



**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიოში გავრცელებულ ეპიდემიასთან — კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით საპატრიარქო განმარტავს, რომ ინტერნეტ-სივრცეში დაიდო ინფორმაცია, თითქოს რუმინეთის ეკლესიამ, ვირუსისგან თავდაცვის მიზნით, ზიარებისთვის ერთჯერადი კოვზების გამოყენების ნებართვა გასცა, რაც გადამოწმდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, სიმართლე არ აღმოჩნდა. ზიარებისთვის ერთი კოვზის გამოყენების პრაქტიკა ათასწლოვან ისტორიას ითვლის. ამ ხნის მანძილზე არაერთხელ ჰქონდა ადგილი სხვადასხვა სახის სიცოცხლისათვის საშიში ინფექციის გავრცელებას. ასეთ პერიოდებში მართლმადიდებელი მორწმუნენი არათუ უშინდებოდნენ საერთო ბარძიმიდან საერთო კოვზით ზიარებას, პირიქით, კიდევ უფრო ხშირად მიეახლებოდნენ ამ სიწმინდეს, რადგან, როგორც ყველამ ვიცით, წმინდა ზიარებისას ადამიანი იღებს ქრისტეს წმინდა სისხლსა და ხორცს, — განმწმენდელსა და მაკურნებელს სულისა და ხორცისა. ამასთან, საერთო თაყვანისცემისთვის სამღვდელოება გამოაბრძანებდა ხოლმე საეკლესიო სიწმინდეებს: სახარებას, ჯვრებს, ხატებს, წმინდა ნაწილებს და აწყობდნენ ლიტანიობებს.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით კვირას, 1 მარტს, შენდობის ლოცვის წაკითხვის შემდეგ, ყველა ეკლესიაში შედგა ტაძრის გარშემო ლიტანიობა, ნაკურთხი წყლის სხურება და ხალხის დალოცვა.

# ივანე ჩხაიძე: ძალიან შორს ვართ ეპიდემიისგან



**იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორის, თსსუ-ს პროფესორის ივანე ჩხაიძის განცხადებით, კორონავირუსით დაინფიცირებული 31 წლის ქალის შვილს A ტიპის ვირუსი დაუდგინდა და მკურნალობს, როგორც გრიპის ვირუსით დაავადებული პაციენტი.**

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, კლინიკაში ამ ეტაპზე კორონავირუსზე საეჭვო სიმპტომების მქონე პაციენტი არ ჰყავთ.

**„ამ ეტაპზე იაშვილის კლინიკაში რჩება ერთი პაციენტი, რომელსაც არ დაუდგინდა კორონავირუსი. გამოვლინდა A ტიპის ვირუსი. ეს პაციენტი ახლა წევს და იღებს მკურნალობას როგორც გრიპის ვირუსით დაავადებული ბავშვი“,** — განაცხადა ივანე ჩხაიძემ.

ექიმის განცხადებით, კლინიკა სრულად ითვალისწინებს არსებულ რეკომენდაციებს ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით.

**„რაც შეეხება მზაობას, მას შემდეგ, რაც პირველი შემთხვევა გამოვლინდა, მივიღეთ კონკრეტული რეკომენდაციები. ვმუშაობთ ორი მიმართულებით. ერთია პერსონალის ტრენინგი, რაც ძირითადად მოიცავდა, თუ როგორ უნდა გამოავლინოს პერსონალმა საეჭვო შემთხვევები და როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში. გარდა ამისა, გვქონდა კონკრეტული რეკომენდაცია ექიმების ეკიპირებაზე, რომლებიც კონტაქტში შედიან ასეთ პაციენტებთან. პერსონალი, რომელიც კონტაქტში შედის პაციენტებთან, არის მაქსიმალურად ეკიპირებული. მაშინვე, როგორც კი საეჭვო შემთხვევა იქნება, გვაქვს რეკომენდაცია, დავუკავშირდეთ დაავადებათა კონტროლის ცენტრს და ვიმოქმედოთ სიტუაციის შესაბამისად.**

**მინდა, აღვნიშნო, რომ ძალიან შორს ვართ ეპიდემიისგან, კორონავირუსის შემთხვევაში ჩვენ გვყავს სამი პაციენტი სამნახევარ მილიონიან მოსახლეობაზე. ასე რომ, ლაპარაკი არა მარტო ეპიდემიაზე, არამედ შემთხვევების გახშირებულ რაოდენობაზეც კი არ არის, იმდენად მცირეა ეს რიცხვი“,** — განაცხადა ივანე ჩხაიძემ.

# ირაკლი კობახიძე: პოლიტპატიმრები საქართველოში არ არსებობენ და ეს ყველამ ძალიან კარგად იცის!



**საპარლამენტო** უმრავლესობის ლიდერის, პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ოპოზიციას შორის საარჩევნო სისტემაზე შეთანხმება, დაახლოებით, ერთი კვირის ვადაში უნდა მოხდეს, რათა სესიის ბოლომდე მთელი პაკეტის მიღება შესაძლებელი გახდეს.

**„იმისათვის, რომ ჩვენ სესიის ბოლომდე მოვასწროთ მთელი პაკეტის მიღება, აქ იგულისხმება როგორც საკონსტიტუციო ცვლილებები, ასევე საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელიც მხოლოდ შემდეგ შეიძლება დაინიცირდეს, რაც კონსტიტუციას გადავსინჯავთ — იმისთვის, რომ ეს იყოს უზრუნველყოფილი მაქსიმალური ინიცირების ვადა არის შემდეგი ოთხშაბათი, რაც ნიშნავს იმას, რომ მაქსიმუმ იქითა ორშაბათს უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მან, ასევე, პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით დასმულ კითხვასაც უპასუხა და აღნიშნა, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არ არსებობენ.

**„ჩვენ ყველაფერზე გვაქვს, რა თქმა უნდა, საუბარი, მაგრამ, რაც შეეხება პოლიტპატიმრებს, ისინი საქართველოში არ არსებობენ და ეს ყველამ ძალიან კარგად იცის“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# ოფიციალური ვიზიტით სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი გვეწვევა



**საქართველოს 3-4 მარტს ოფიციალური ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ეწვევა. მთავრობის ადმინისტრაციაში დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება. სომეხ კოლეგას საქართველოს მთავრობის მეთაური გიორგი გახარია უმასპინძლებს. გაიმართება საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრების შეხვედრა პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში, რის შემდეგაც გიორგი გახარია და ნიკოლ ფაშინიანი მედიისთვის განცხადებებს გააკეთებენ.**

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან და პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძესთან.

ნიკოლ ფაშინიანი დელეგაციის წევრებთან ერთად გმირთა მოედანზე პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას. სომხეთის სამთავრობო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში 4 მარტს დასრულ-

# აბაშელებს უწყლობა არ შეაწუხებთ

**გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიგა მანდარია წყალმომარაგება-წყალარინების ინფრასტრუქტურის მშენებლობას და პროექტების მიმდინარეობის ტემპს ამჯერად სამეგრელოს რეგიონში გაეცნო. ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.**

კომპანიის ხელმძღვანელმა აბაშის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაათვალიერა, რომლის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

**„რეგიონების წყალმომარაგებისთვის საკამოდ დიდი ინვესტიციაა ჩადებული სახელმწიფოს და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით. ამ ეტაპზე, მხოლოდ სამეგრელოს რეგიონში, 400 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების პროექტებს ვახორციელებთ, რომელთა უმეტესი ნაწილი, წელს უნდა დასრულდეს. მათ შორის, დასკვნით ეტაპზეა ქალაქ აბაშისა და 8 სოფლის წყლის სისტემების მოწესრიგება. 15 კმ სიგრძის მონაკვეთზე ძველი მაგისტრალური მილსადენი სრულიად ახალი ქსელით იცვლება. ასევე, შენდება ახალი სერვის-ცენტრი და მოხდება მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. პროექტის დასრულება კი მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ადგილობრივები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სტაბილური წყლის მიწოდებით უზრუნველვყოთ“,** — განაცხადა გიგა მანდარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტში არსებული მაგისტრალური მილსადენი ამორტიზებულია და წლებია, რეაბილიტაციას საჭიროებდა. სიძველის გამო, ხშირი იყო ავარიული დაზიანებები. სამუშაოები აპრილში დასრულდება, რაც საბოლოოდ აღმოფხვრის არსებულ პრობლემებს.

პროექტის განხორციელებას, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, 12 მილიონი ლარი მოხმარდება.





# „საქართველო მშვიდობის კუნძულად უნდა გადავაქციოთ, ეს ჩვენი ეროვნული ამოცანა უნდა იყოს“

**„მეტი საქართველო ნატოში და მეტი ნატო საქართველოში“, – გიორგი გახარიას ამ შინაარსის სტატიას აქვეყნებს** The Washington Times-ი. **საქართველოს პრემიერი დასავლეთს საქართველოს მნიშვნელობას შეახსენებს და ხაზს უსვამს შავი ზღვის გეოპოლიტიკური უსაფრთხოების როლს.**

პრემიერის თქმით, საქართველო იმსახურებს ნატოს წევრობას. ქვეყანას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის გეოპოლიტიკური უსაფრთხოებისთვის. ნატოს ლიდერებმა საქართველოს არაერთხელ აღუთქვეს ნატოს სრული წევრობა. აქედან გამომდინარე, გიორგი გახარია იმედოვნებს, რომ ნატოში ჩვენი შესვლის წინაშე არსებული გამოწვევები უახლოეს მომავალში გადაიჭრება.

გახარია უკრაინის მაგალითსაც იშველიებს და აცხადებს, რომ ბოლო დროს უკრაინაში საომარი მოქმედებების განახლება ადასტურებს, რა დევს სასწორზე შავი ზღვის რეგიონში, რომელიც კონკურენტული პოლიტიკური ძალების ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

**„შავი ზღვა წარმოადგენს ბუფერულ ზონას ევროპის აღმოსავლეთ ფლანგზე, რითაც წვლილი შეაქვს ევროპის, ნატოს, აშშ-ის ინტერესთა დაცვაში მტრული ძალებისგან... რუსეთისთვის შავი ზღვა წარმოადგენს კარიბჭეს ისეთი სანუკვარი დაშორებული ფრონტებისკენ, როგორიცაა სირია, ჩრდილოეთ აფრიკა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონები. თუმცა შავი ზღვის საზღვრებს გარეთ გასასვლელად, ასევე, მასში აშშ-ის და სხვათა შემოსვლის თავიდან ასაცილებლად, რუსეთმა უნდა განახორციელოს ზეწოლა შავიზღვისპირა სხვა ქვეყნებზე, რომლებიც მდებარეობს ბოსფორის სიახლოვეს. ბოსფორის სრუტე, თურქეთის გავლით, ერთმანეთთან აკავშირებს შავ ზღვას და მსოფლიო ოკეანის უფრო მსხვილ ნაწილებს სამხრეთით. ეს ზეწოლა გამძაფრდა რუსეთის მიერ უკრაინისგან ყირიმის მიტაცების შემდეგ. მანამდე რუსეთმა განახორციელა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია, სტრატეგიული სანაპირო ტერიტორიის – აფხაზეთის ჩათვლით“,** – ნათქვამია გიორგი გახარიას მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში.

რატომ ითხოვს გიორგი გახარია ნატოში დაჩქარებულად შესვლას? რაიმე სერიოზული გამოწვევები არსებობს რუსეთის მხრიდან, რაც ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის, თუ პრემიერი ცდილობს, ოპოზიციისგან მიწებებული პრორუსის იარლიყი ჩამოირეცხოს?

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ იარლიყების მიწებება საქართველოში იმდენად გაცვეთილი თემაა, რომ არ მუშაობს. თუ გახარიას მიაწებეს ეს იარლიყი, არ უნდა დაგვავიწყდეს, ვანო მერაბიშვილი კრემლის ფორმიანი გავლენის აგენტია. რაც შეეხება საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებს, ვახტანგ მაისაია მიიჩნევს, რომ დროა, ნატომ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს გაწევრებასთან დაკავშირებით, რადგან ამ პროცესის გახანგრძლივება რუსეთს საშუალებას აძლევს, კიდევ უფრო თავხედურად იმოქმედოს არა მარტო საქართველოს, არამედ შავი ზღვისპირეთის რეგიონის მიმართ.

**„პარლამენტში სწორედ ახლახან იყო ჩემი გამოსვლა, რომელიც ეხებოდა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებს და მე უსაფრთხოების ბლოკის ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი გახლდით. სიტყვით გამოსვლისას აღვნიშნე, რომ საქართველო იმყოფება რუსული ჰიბრიდული ომის დარტყმის ქვეშ და რუსეთი ამით ჩვენი უსაფრთხოების მოწყვლადობის რისკს ზრდის. გახსოვთ, ალბათ, 2019 წლის 28 ოქტომბერს განხორციელებული კიბერშეტევა, რის შესახებაც მაშინვე ვთქვი, რომ ეს იყო რუსული „გერეუ“-ს შეტევა. უკვე, ეს ფაქტი აბსოლუტურად დაადასტურა პომპეომაც და საქართველოს მთავრობამაც და აღმოჩნდა, რომ ეს იყო რუსული კიბერშეტევა „გერეუ“-დან. საქართველო არა მარტო კიბერშეტევების სამიზნეა, არამედ მიმდინარეობს მცოცავი ოკუპაცია, საინფორმაციო ომი, სამხედრო კუნთების დემონსტრირება ოკუპირებულ აფხაზეთში, აფხაზურ-რუსული კოალიციური ძალების შექმნა, რომელიც ჰიბრიდული ომის ფორმატში ჯდება. ეს ყველაფერი დღითი დღე სერიოზულ გაბარიტებს იღებს და მოქმედებს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის კონსტრუქციაზე. ამიტომ მართებულია, რომ გახარიამ მეტი ყურადღება ისურვა ნატოსგან. გარდა ამისა, პრემიერმა ისაუბრა უკრაინის მაგალითზეც, რომ ხელშეკრულებები ირღვევა და რუსი სეპარატისტები გადადიან შეტევაზე, ემზადებიან რა უკრაინაშიც მოახდინონ რეჟიმის დამხობა“,** – აცხადებს ვახტანგ მაისაია ჩვენთან საუბრისას.

მოახდენს თუ არა გიორგი გახარიას წერილი რაიმე ზეგავლენას ნატოზე, ამის შესახებ საუბრისგან ვახტანგ მაისაია თავს იკავებს. უბრალოდ, აცხადებს, რომ ნატო ეს არის დემოკრატიულ სახელმწიფოთა კლუბი, სადაც გადაწყვეტილებები კონსენსუსის საფუძველზე მიიღება. ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკა რამდენად შეიცვალა და რამდენად გახდა აგებული სწორ წარმოდგენებზე, ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ფაქტია, თურქეთმა სრული მხარდაჭერა გამოუხატა საქართველოს ნატოში მიღებასთან დაკავშირებით, ეს ყველაფერი ნატოს ხელმძღვანელობამ კარგად უნდა გააცნობიეროს და საქართველოს მაპის (ანუ სამოქმედო სამხედრო გეგმის) სტატუსი მაინც მიანიჭოს. ეს იქნება რეალურად დამადასტურებელი იმისა, რომ ნატოში საქართველოსთვის გზა გახსნილი იქნება. ამან შეიძლება, შეაჩეროს რუსეთის აგრესია, რომელიც ჩვენს წინააღმდეგაა მიმართული.

ანალიტიკოსი **სოსო მანჯავიძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ კარგად უნდა დავაკვირდეთ, რა ხდება ჩვენს გარშემო. დამაფიქრებელია მოვლენები სირიაში, მაღრიბში და ა.შ.

**„2014 წელს, სანამ რუსეთი სირიაში შევიდოდა, დავწერე, რუსეთი აუცილებლად შევა სირიაში ასადის დასაცავად და რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაერევა ყველა იმ გეოპოლიტიკურ პროცესში, რაც მაღრიბში მიმდინარეობს-მეთქი. ეს ყველაფერი უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან ერთიან ბმაში იყო. დასავლეთი არ არის კონსოლიდირებული, დასავლეთში სხვადასხვა ვექტორებია და ეს ვექტორები ერთმანეთს ებრძვიან. არსებობს გლობალური ინტერესები, გლობალური ჰეგემონია. ამის პროექცია მიმდინარეობს ყველგან და, მით უმეტეს, ჩვენთან, სადაც გავლენები ერთმანეთს ეჯახება. ამ პროცესებში საქართველოს ჩათრევას ცდილობდნენ, საქართველო ახლაც გარკვეულ როლს ასრულებს იმ ბრძოლაში, რომელიც მუდმივად მიმდინარეობს ქვეყნებსა და ძალებს შორის, მაგრამ ჩვენ გადავრჩით და, ღვთის წყალობით, 8 წლის განმავლობაში შეიარაღებულ კონფლიქტებში არ მიგვიღია მონაწილეობა. კარგია, რომ არ აღმოვჩნდით ჩათრეული რომელიმე შეიარაღებულ კონფლიქტში. არადა, ამის რისკი ნამდვილად არსებობდა და ახლაც არსებობს“,** – მიიჩნევს სოსო მანჯავიძე.

მისი თქმით, ზოგიერთი პოლიტიკური გავლენის ჯგუფები ოცნებობენ, რომ საქართველო კვლავ გაღიზიანების პოლიტიკაზე გადავიდეს, რათა ამით პოლიტიკური დივიდენდები მიიღონ. ამისთვის ცდილობენ, გამოიყენონ ჩვენთვის სრულიად ბუნებრივი განწყობები რუსეთის მიმართ. ზოგიერთი ძალა ცდილობს, ეს განწყობები ჩვენი ისტორიული წყენის გამო თურქეთის, აზერბაიჯანის ან სომხეთის მიმართულებითაც გამოიყენოს, მაგრამ რუსეთთან ყველაზე უფრო ახალია ეს კრიზისი. სოსო მანჯავიძე ფიქრობს, რომ ეს სრულიად დამღუპველი მიდრეკილებებია, ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ საქართველო მშვიდობის კუნძულად გადავაქციოთ. ეს არის მთავარი ეროვნული ამოცანა და არა მსოფლიო ძალების ურთიერთადაპირისპირების არეალად გადაქცევა.

**„ვინც ოცნებობს, აქ იდლიბი მოგვიწყოს, კარგად უნდა დაფიქრდეს და უყუროს საინფორმაციო საშუალებებს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენ რაღაცით უკეთესები ვართ, ან ჩვენთან იმავე მოვლენების განვითარების ნაკლები შანსია, ძალიან ცდება. მსოფლიო შევიდა საშიშ ფაზაში, დამთავრდა ძველი წესრიგი და ძველ წესრიგსა და ახალ წესრიგს შორის ყოველთვის არის მღელვარების პერიოდი, ამ რყევებს ჩვენ არ უნდა შევეწიროთ უპასუხისმგებლო, ბოღმითა და ხელისუფლებისკენ ლტოლვით დაბრმავებული ადამიანების გამო. რაც შეეხება გიორგი გახარიას სტატიას, ბუნებრივია, ნატოს ყოველთვის აქვს ინტერესი საქართველოს მიმართ. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც რუსეთსა და თურქეთს შორის მწვავდება სიტუაცია. რუსეთსა და თურქეთს შორის მთელი გორგალია წინააღმდეგობების. ბუნებრივია, რუსეთთან დაპირისპირების დროს თურქეთის პოლიტიკურ არსენალში არის საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივა, ამ არსენალშია, ასევე, უკრაინის სამხედრო მხარდაჭერა, რომელიც აღუთქვა ერდოღანმა ზელენსკის, მაგრამ რა რეაქცია ექნება ამ ყველაფერზე რუსეთს და რა ჰიბრიდულ საშუალებებს გამოიყენებს ჩვენ წინააღმდეგ, ეს შეიძლება, მხოლოდ ვივარაუდოთ. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, გავხდეთ ვიღაცის ინტერესებისთვის შეწირული ცხვრის როლში“.**

**მანანა ნოზაძე**

---

**სტრატეგიული სენსაცია!**

## აშშ-სა და თალიბანს შორის შეთანხმება გაფორმდა

**ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თალიბანს შორის სამშვიდობო შეთანხმებას მოეწერა ხელი. შეთანხმებამ ხელი უნდა შეუწყოს 18-წლიანი კონფლიქტის დასრულებას.**

ახლა მოლაპარაკებების მეორე ეტაპი ავღანეთის მთავრობასა და თალიბანს შორის წარიმართება, იმ შემთხვევაში თუ მხარეებს შორის შეთანხმება მოხდება, მომდევნო 14 თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს მოკავშირეები ავღანეთიდან ჯარებს გაიყვანენ.

შეთანხმების თანახმად, თალიბანის კონტროლირებად ტერიტორიებზე რომელიმე ტერორისტული დაჯგუფება არ უნდა შეიქმნას, დოკუმენტის მიხედვით თალიბანმა ეს პასუხისმგებლობა ხელმოწერით უკვე დაადასტურა. შეთანხმება დოჰაში შედგა, სადაც ამერიკის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო იმყოფებოდა.




შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს ჯარები ავღანეთში 2001 წლის ოქტომბრიდან იმყოფებიან. მას შემდეგ, რაც ალ-ყაიდამ ამერიკაში 11 სექტემბერს ტერორისტული აქტები განახორციელა.

## გიორგი გახარია: ტრამპის სამშვიდობო გეგმა მოიტანს რეალურ პროგრესს ავღანეთში ომის დასრულებაში

**„მნიშვნელოვანი მომენტი აღინიშნება. პრეზიდენტ ტრამპის სამშვიდობო გეგმა მოიტანს რეალურ პროგრესს ავღანეთში ომის დასრულებაში. საქართველო განაგრძობს აშშ-ის მხარდაჭერას, რათა დაინახოს, რომ შეთანხმების პირობები შესრულდა“,** – წერს გიორგი გახარია „ტვიტერში“.



აშშ-მა და „თალიბანმა“ სამშვიდობო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით შეთანხმება გააფორმეს.

სრ

# ღია წერილი ევროატლანტიკურ საბჭოს

# როდემდე ბატონებო, როდემდე?

**ქვეყანაში მიმდინარე ურთულესმა პროცესებმა, პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულმა ფარულმა თუ ღია ქიშპობამ, გაერთიანებული ოპოზიციური პარტიების სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამ ხელისუფლებასთან, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის უკიდურესმა გაუარესებამ, სხვა მრავალმა ნეგატიურმა ფაქტორმა მაიძულეს ევროატლანტიკური სივრცისთვის გამეცნო ჩემი, ერთი რიგითი ქართველის, მოსაზრება საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.**

დარწმუნებული ვარ, საქართველოში აკრედიტებული თქვენი დიპლომატიური მისიების წყალობით ინფორმაციის ნაკლებობას არ განიცდით, თუმცა გულახდილად მოგახსენებთ, რომ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური ჩავარდნების თქვენს მიერ უგულებელყოფა საწინააღმდეგო შეგრძნებას მიჩენს, რამეთუ ამდენი ხარვეზის შემყურე სტრატეგიული პარტნიორი, ჩემი აზრით, სხვაგვარად უნდა იქცეოდეს — გვასწავლიდეს, ხელს გვიწყობდეს, გვეხმარებოდეს ყოველგვარი დიქტატის და მენტორული ტონის გარეშე.

რასაც გვიბედავთ და გვკადრებთ — ჭკუის დარიგება, დატუქსვა, თითის ქნევა, მუქარა, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი წერილები კონგრესმენებისგან, სენატორებისგან, ევროპის სახალხო პარტიისგან, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების გაუთავებელი კრიტიკა გვესმის.

საქართველო ბოლო 30 წელია, ახალ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს აშენებს და ამ პერიოდში მრავალი დაბრკოლების დაძლევა მოუხდა. მარტო სამოქალაქო ომი ან ცხინვალის სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული რუსული ოკუპაცია რად ღირს?! თქვენ მიერ გამოზრდილმა და საქართველოს პრეზიდენტად მოვლენილმა სააკაშვილმა უბედურებას გვაზიარა, მან საქართველო აშშ-ის გარკვეული წრეების წაქეზებით საომარი მოქმედების თეატრად აქცია, რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამასთანავე, ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დაგვაკარგვინა.

რაღაც ვერ ვიხსენებ შეურაცხადი სააკაშვილის და ნაციონალური ხელისუფლების სახელზე გამოგზავნილ ისეთივე შინაარსის წერილებს, როგორსაც „ოცნების" ხელისუფლებას უგზავნით. სიტყვაც არ დაგიძრავთ სააკაშვილის 9-წლიანი აღვირახსნილი, სისხლიანი მმართველობის ბოროტებაზე, სისასტიკესა და საშინელებებზე. საქართველოს მოსახლეობისთვის უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის, მთელი ეკლესიის, მართლმადიდებელი სარწმუნოების შეურაცხყოფაზე, ხალხის ქუჩაში ცინიკურ დახვრეტებზე, გადავსებულ ციხეებში პატიმრების გაუგონარ წამებაზე, ციხეში ხელოვნური ბუნტის მოწყობაზე და პატიმრების ჩახოცვაზე, ელიტურ კორუფციაზე, ყველა არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე, მშვიდობიანი მიტინგებისა და აქციების უსასტიკესი მეთოდით დარბევაზე, მოსახლეობის აბუჩად აგდებაზე, მის გარყვნილ ცხოვრებაზე, ლოთობაზე, ნარკოტიკების და ტრანკვილიზატორების მოხმარებაზე, უცხოეთიდან ვიზაჟისტების და მასაჟისტების ჩამოყვანაზე და მათთან ნებივრობაზე, საზღვარგარეთ გასართობად და დროის სატარებლად ჟურნალისტ-პროსტიტუტკებთან და პუტანკებთან ვოიაჟებზე, საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვა-მითვისებაზე, მის უგუნურ, დანაშაულებრივ საკადრო პოლიტიკაზე — გენდერული წესით შერჩეული, ამურში დახელოვნებული ახალგაზრდა ქალების მინისტრებად დანიშვნაზე და უმწიფარი გოგონების პარლამენტში შეყვანაზე (ეს ისეთი ნოვაცია შემოიღო, უკეთესს ვერც რომის იმპერატორი კალიგულა მოიფიქრებდა: მინისტრობა და პარლამენტარობა პრეზიდენტის საძინებლის გავლით), წარმატებულ ტელეკომპანია „იმედში" შეჭრასა და უსასტიკეს დარბევაზე, უმაღლესი თანამდებობის პირების უმოწყალო ცემაზე და გაგუდვაზე, მისი დავალებით დაცვის წევრების მიერ სახელმწიფო მოხელეების და პარლამენტის წევრების სიკვდილამდე მიყვანაზე, საქართველოს სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვაზე, ბიზნესის წართმევაზე და ქონების თავისი უახლოესი გარემოცვის წევრებისთვის ერთ ღამეში გადაფორმებაზე მუქარით, დაშინებით, დაპატიმრებით და სხვა ამაზრზენი მეთოდებით.

**სააკაშვილმა შექმნა ტოტალური ძალადობრივი სისტემა, სახელმწიფო მართვის ისეთი ფორმა, სადაც არაპროფესიონალიზმი, გაუნათლებლობა, არაკომპეტენტურობა ყვაოდა, მაგრამ ამერიკას და ევროპას ერთხელაც არ ამოუღიათ ხმა მის ურიცხვ უმსგავსოებაზე, პირიქით, სულ მისი ქება-დიდება გვესმოდა გაღმიდან, ხან წარმატებულ რეფორმატორს, ხან დემოკრატიის შუქურას უწოდებდნენ.**

სააკაშვილი და მისი მმართველობა თქვენ მიმართ მონურ მორჩილებას იჩენდა. თქვენს პოლიტიკოსებთან და მაღალი რანგის მოხელეებთან ძმაკაცური ურთიერთობებით გამოირჩეოდა. ისინი ხშირად სტუმრობდნენ მას გასართობად და დროის სატარებლად, მისი მმართველობის წასახალისებლად და გასამყარებლად. არც ერთ მათგანს სააკაშვილზე არასდროს აუგი სიტყვა არ დასცდენია, თუ რატომ, ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

დღესაც თვალწინ მიდგას აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის საჯარო შეკრებაზე სიტყვით გამოსვლა, რა ქება-დიდებას ასხამდა სააკაშვილის დედას გიული ალასანიას, რომელიც დარბაზში წინა რიგში იჯდა. ასეთი შესანიშნავი, ჭკვიანი, კარგად აღზრდილი, განათლებული, გამჭრიახი პოლიტიკოსის აღზრდისთვის მადლობა გადაუხადა, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა თბილისში სტუმრობის დროს სააკაშვილს ენით აუწერელი ხოტბა შეასხა.

ხალხი კი გმინავდა ამ ჯალათის უსაქციელობაზე, თუმცა ყველაზე ამაზრზენია ის, რომ პირადად სააკაშვილის, მისი გარემოცვის და მის მიერ დატოვებული თავხედი, უზრდელი, გაუნათლებელი და უსაქმური ნაციონალების, ურეიტინგო პარტიების, არასამთავრობოების, ადამიანის უფლებათა ვითომ დამცველების მიმართ დასავლეთიდან დღესაც გრძელდება ლოიალური დამოკიდებულება, მათ შორის, დაფინანსებაც.

ამერიკის და ევროპის სახელმწიფო სტრუქტურების მესვეურებო, ჩვენო „სტრატეგიულო პარტნიორებო", თქვენ მოგმართავთ:

საქართველოს მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს თქვენ მიერ თავსმოხვეული შოკისმომგვრელი კოჰაბიტაცია!..

სააკაშვილი საქართველოდან გაიქცა, მაგრამ მის მიერ შექმნილი კრიმინალური პარტია დღესაც განაგრძობს ქვეყნის დესტაბილიზაციას. დანაშაულებრივი „ნაციონალური მოძრაობა" კანონგარეშედ გამოცხადების ნაცვლად, თქვენი წყალობით, მთავარ ოპოზიციურ ძალად მოიაზრება და საქართველოს პარლამენტში თავხედური, დესტრუქციული საქციელით გამოირჩევა.

**ამერიკული ორგანიზაციების „აირაის" და „ენდიაის" მიერ ტენდენციური და მიკერძოებული გამოკითხვით, ნაცმოძრაობა ლამის ყველაზე წარმატებულ და პოპულარულ პარტიად სახელდება. მას მხარს უჭერენ და ზურგს უმაგრებენ თქვენ მიერ დაფინანსებული ტელეარხები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა მიმართულია ქართული ტრადიციების, კულტურის, ოჯახის სიმტკიცის დასასამარებლად — ერთნაირსქესიანთა ქორწინების დასაკანონებლად, გეი-პარადების ჩასატარებლად, ხალხის მასებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში ლგბტ-ს იდეების გასაპიარებლად. არც ერთი სიტყვა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოსწორებაზე. მასობრივმა უმუშევრობამ და მოსახლეობის უკიდურესმა გაჭირვებამ გაზარდა სუიციდის შემთხვევები; განსაკუთრებით, ახალგაზრდებში ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწა, თუნდაც მძიმე სამუშაოს შოვნის იმედით. მცირდება საქართველოს მოსახლეობა, ცარიელდება ქალაქები და სოფლები. წლევანდელი სასწავლო წელი 100-ზე მეტმა სოფლის სკოლამ პირველი კლასის გარეშე დაიწყო — ეს უკვე კატასტროფაა.**

საქართველოს მოსახლეობა, რომელიც დამოუკიდებლობის მიღებამდე 5,5 მილიონს შეადგენდა, 3 მილიონამდე დავიდა. ქვეყნიდან გადახვეწილი ქართველების ადგილს აზიელები და აფრიკელები იკავებენ.

„დემოკრატიული და ტოლერანტული" დასავლეთის მეცადინეობით საქართველოდან 30 წელიწადში სახელიღა თუ დარჩება.

განაგრძობთ ნაციონალი სახელმწიფო დამნაშავე-კრიმინალების მფარველობას, რათა ისინი პასუხისგებაში არ მისცენ, 48 მილიონის გამფლანგველ უგულავას ექომაგებით. გასული წლის 1 იანვარს (ახალ წელს) მაკკეინი ჩამოფრინდა თბილისში და ციხიდან გამოაშვებინა ეს ნაძირალა. მერაბიშვილი სახელმწიფო დამნაშავე და მკვლელია, ამ გონებაშეზღუდულს ციხის ზღურბლიც არ ჰქონდა გადმოკვეთილი, ხელისუფლების დამხობით რომ დაგვემუქრა. ნუთუ ეს მიგაჩნიათ თქვენ დემოკრატიად?

სამწუხაროდ, ვრწმუნდები პლატონის (სოკრატეს მოწაფისა და არისტოტელეს მასწავლებლის) და ალფრედ ნობელის შეფასებებში: „დემოკრატია ტირანიის დედაა" და „ნებისმიერ დემოკრატიას ნაძირლების დიქტატურამდე მივყავართ".

ნუთუ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფლების ყოველი კანონიერი, ობიექტური და სამართლიანი ნაბიჯი უნდა აკრიტიკოთ, ეჭვის ქვეშ დააყენოთ, აბუჩად აიგდოთ, დაემუქროთ სანქციებით, კომისიები და შემმოწმებლები მოავლინოთ ამერიკიდან და ევროპიდან?!

თქვენ იცით, საქართველოდან გაქცეული, საზღვარგართის ქვეყნებს შეფარებული სახელმწიფო დამნაშავე-კრიმინალები — სააკაშვილზე, ადეიშვილზე, ახალაიაზე, თოფურიძესა და სხვებზე გამოცხადებულია ძებნა წითელი ცირკულარით. სამწუხაროდ, თქვენ არც მათ დაპატიმრება-ექსტრადიციაში არ გვეხმარებით.

თქვენ გინდათ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დათრგუნვა, დაბეჩავება, მონური მორჩილება, თუმცა უკვე მიაღწიეთ ამასაც და თქვენთან შეუთანხმებლად ჩვენი ხელისუფალნი გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ.

იცოდეთ, არ გამოგივათ, ქართველი ხალხი ამის უფლებას არ მოგცემთ! მინდა, დაგარწმუნოთ, რომ სამართლიანი ხელისუფლება გვყავს წინამორბედ ურჩხულთან შედარებით, ხომ არ შეიძლება ყოველი ნაბიჯი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ამერიკის ელჩს, კონგრესმენებს, სენატორებს, ევროკავშირს, ნატოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს შეუთანხმოს?

**თქვენს რჩევებს, მოსაზრებებს და წინადადებებს სიამოვნებით მივიღებთ, დიქტატი კი კატეგორიულად მიუღებელია ჩვენთვის. თქვენ უდიდესი და უძლიერესი ზესახელმწიფო ხართ, უდიდესი სახელმწიფოებრივი მმართველობის გამოცდილებით, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ბრძანდებით.**

**ჩემი აზრით, ამიტომაც გმართებთ ჩვენი პრობლემების გულისყურით მოსმენა, სიღრმისეული განხილვა და გადაწყვეტა. ეს თქვენ შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება. ვიცით, რომ ყველაფერი რიგზე არ გვაქვს, ვცდილობთ, შეცდომებიც დროულად გამოვასწოროთ.**

ნაცვლად ამისა, თქვენი ექსპერტები ნატოში გაწევრებას გვთავაზობენ, ცხადია, ყველა თქვენი დავალების შესრულების შემდეგ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე.

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა. აშშ-მა პირველმა აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა 1991 წელს. მოგვიანებით კი თქვენი საელჩოს გახსნამ დიდი სიხარული მოგვგვარა. საქართველომ ევროატლანტიკური სივრცისკენ აიღო გეზი, მაგრამ თქვენი ქედმაღლური დამოკიდებულების გამო შეყოვნდა, დაფიქრდა, დაღონდა და იკითხა: რით სჯობს ახალი „სტრატეგიული პარტნიორი" ძველს? რა გაგვიკეთა, რით დაგვეხმარა? ხალხმა გაიხსენა ძველი, თქვენამდე არსებული ურთიერთობები რუსეთთან, ქვეყანასთან, რომელთანაც დიალოგს გვიკრძალავთ კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად.

250 წელს მოითვლის საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. ამ ხნის განმავლობაში იყო ბევრი უარყოფითი, მაგრამ დადებითი გაცილებით მეტი — რუსეთმა გააერთიანა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად, სამცხე-საათაბაგოდ, გურიის, ოდიშის, სვანეთის, აფხაზეთის სამთავროებოებად დაქუცმაცებული საქართველო. თურქეთს გამოჰგლიჯა ბათუმი და აჭარა, აღკვეთა საქართველოს ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო მოვლენა — აღმოსავლეთის ბაზრებზე საჯიშე ქართველი გოგო-ბიჭების გაყიდვა.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში არც ერთი სკოლა არ ფუნქციონირებდა... რომელი ერთი გავიხსენო. საბჭოთა საქართველოს აღმასვლა გრძელდებოდა 70 წლის განმავლობაშიც, განვითარებული მძიმე და მსუბუქი მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, მეცნიერებით, სპორტით, კულტურით, განათლებით...

უამრავმა შეღავათმა — უფასო განათლებამ, უფასო მკურნალობამ, მიზერულმა ფასებმა მედიკამენტებზე, კომუნალურ მომსახურებაზე, ბენზინზე, გაზზე, ელენერგიაზე, წყალზე, ტრანსპორტზე საოცრად დაბალი ფასები... უმუშევრობა რა იყო, არც ვიცოდით, საცხოვრებელ ბინებს მოსახლეობა უფასოდ იღებდა, ურიცხვი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო ობიექტები შენდებოდა საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე. მათი დაკომპლექტება ტექნოლოგიური დანადგარებით, მოწყობილობებით, საკაბელო და ელექტროპროდუქციით, ტექნიკით, მექანიზმებით, სამშენებლო მასალებით ხდებოდა საკავშირო საგეგმო და მომარაგების კომიტეტების მიერ უსასყიდლოდ!!! ამ ჩამონათვალმა და კიდევ სხვა მრავალმა სიკეთემ უდავოდ ხელი შეუწყო დემოგრაფიული პრობლემების მკვეთრ გაუმჯობესებას, რუსეთთან შეერთების დროს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 450 ათასს, 1991 წლის დეკემბერში კი მთელ საქართველოში 5,5 მილიონს.

დღეს კი გაუსაძლისი ცხოვრების პირობების გამო, შრომისუნარიანი მოსახლეობა ქვეყნიდან უცხოეთში გარბის. 2,5 მილიონამდე ადამიანმა სამშობლო მიატოვა. მკვეთრად გაუარესდა დემოგრაფია და ქვეყნის ეკოლოგია, სამწუხაროდ, ხალხში მკვიდრდება ნიჰილიზმი და უიმედობა, მოსახლეობა დაიღალა და ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული.

ქვეყნის სათავეში მოვიდნენ გამოუცდელი, არაპროფესიონალი კადრები. საქართველოს ხელისუფლებამ თავის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები მოსკოვს გადააბრალა და თქვენი აქტიური ზეწოლით, რუსეთი ნომერ პირველ მტრად გამოაცხადა.

პრეზიდენტ ბუშის საზეიმო მიღების დროს თბილისში, თავისუფლების მოედანზე აღმართული ტრიბუნიდან, ამერიკელების მიერ გამოზრდილმა უმეცარმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი, ფათერაკიანი ცხოვრების მანძილზე უამრავ მომხდურ მტერთან შედარებით რუსეთი ყველაზე მზაკვარი და სასტიკი იყოო.

სააკაშვილის ნაბოდვარმა დიდ სტუმარს უდიდესი სიამოვნება მოჰგვარა, მაგრამ ნებისმიერ შეგნებულ, განათლებულ, ისტორიის მცოდნე ქართველს შეურაცხყოფის შეგრძნება გაუჩნდა.

ქართველი ოპოზიციონერები წარმატებით ართმევენ თავს თქვენ მიერ მიცემულ დავალებას — რუსეთის დაუსრულებელ თუ გაუთავებელ ლანძღვა-გინებას!

როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?!

საზოგადოებას ვთხოვ, წარსულის ნოსტალგიით შეპყრობილ პიროვნებად არ ჩამთვალოს. მე კარგად ვიცი დამოუკიდებლობის ფასი, მაგრამ, თითქმის მესამედი საუკუნე ცოტა არ არის...



როდემდე, როდემდე, ბატონებო?!!!

**ომარ მარგველაშვილი,**

**აკადემიკოსი**

# ნიკოლოზ ჩხეიძე: ვის უცხადებთ ბოიკოტს, მატრაკვეცა ოპოზიციავ, ჩვენ, ემიგრანტებს?!



ემიგრაციის მაქსიმალურად გააქტიურება და საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა - ეს არის „ქართული დიასპორის საერთაშორისო კოალიციის“ შექმნის მიზანი, რომლის თავმჯდომარე ნიუ-იორკში საქართველოს სათვისტომოს ხელმძღვანელი **ნიკოლოზ ჩხეიძე**.

**— ბატონო ნიკა, ორგანიზაციის დაფუძნების მიზანი რა არის? ქართველ ემიგრანტებს ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ და თქვენ რა მიმართულებით აპირებთ აქტიურობას?**

— კოალიციის შექმნის იდეა დაიბადა არა გუშინ, არამედ ეს დაკავშირებულია იმ რეალობასთან, რაც დღეს არსებობს ქართულ დიასპორაში და ასევე — საქართველოშიც. ჩვენ არ განვიხილავთ საკუთარ თავს განცალკევებულად, ჩვენ ვართ ქართული ეთნოკულტურული ერთობის მატარებელი საზოგადოება. ამით ვადასტურებთ სურვილს, რომ ვიყოთ იმ პროცესების ნაწილი, რაც მიმდინარეობს საქართველოში. ეს ბმა, სწორედ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის დიასპორა ჩართული ამ პროცესებში. შესაბამისად, ჩვენი სურვილია, რომ მაქსიმალურად მეტი ემიგრანტი იყოს ჩართული საქართველოს საარჩევნო სისტემაში, რადგან მათ ტექნიკურად არა აქვთ ამის საშუალება. ჩვენ გავაჟღერეთ წინადადება, რომ ემიგრანტები, რომლებიც სხვადსხვა ქვეყანაში არიან გაბნეული, ელექტრონული წესით მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. დაახლოებით 2 მილიონი ემიგრანტია და აქედან მაქსიმუმ 40 ათასი იღებს არჩევნებში მონაწილეობას.

**— ეს მაჩვენებელი მეტყველებს იმაზე, რომ ემიგრანტებს არა აქვთ მოტივაცია იმისა, რომ მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა?**

— ეს არ ხდება იმიტომ, რომ ემიგრანტებს არ აინტერესებთ რა ხდება ქვეყანაში. მიზეზი ის არის, რომ მათ არა აქვთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, რადგან საარჩევნო უბნების რაოდენობა არის ცოტა. თავისთავად, აქ სხვა კომპონენტებიც არის — მოტივაციაც, მაგრამ ერთ-ერთი არის ტექნიკური პრობლემა. თითოეულ საარჩევნო უბანს შეუძლია გაატაროს რამდენიმე ათასი ადამიანი, მაგრამ ამ დროს ამომრჩეველი უფრო მეტია. გარდა ამისა, არის გადაადგილების პრობლემაც — თუნდაც, ნიუ-ორკში ორი საარჩევნო უბანია და ორივე მანჰეტენზეა საკონსულოში, არადა, ემიგრანტების უმრავლესობა ცხოვრობს ბრუკლინში. ჩვენ კი ვეხმარებით მათ გადაადგილებაში, მაგრამ ეს არ არის ის მაჩვენებელი, რაც გამოხატავს აქტივობას.

**— თქვენ ტექნიკური პრობლემები ახსენეთ, მაგრამ მეორე მხრივ სიფრთხილის ფაქტორიც ხომ არ მუშაობს? ემიგრანტები არალეგალურად ცხოვრობენ უცხოეთში და გამორიცხავთ შიშის ფაქტორს, რომ მათი იდენტიფიცირება მოხდეს?**

— სიმართლე გითხრათ, თუ ვინმეს გადეპორტება უნდათ, ისედაც გაადეპორტებენ და ამას არ სჭირდება ქართულ საარჩევნო სისტემაში აღრიცხვა. მით უმეტეს, არც ერთ საარჩევნო ბიულეტენში არ წერია ლეგალია ადამიანი, თუ არალეგალი. ჩვენ გვქონდა საუბარი გენკონსულთან და არანაირი ინფორმაციის გაცემა-გამოცემაზე არ არის ლაპარაკი. ეს უკვე არის საინფორმაციო თემა. ელემენტარული მუშაობაა საჭირო და ინფორმაციის მიწოდება ემიგრანტებისთვის.

სამწუხაროდ, პრობლემაა ის, რომ სწორედ საკანონმდებლო საფუძველი არ არის მყარი იმისთვის, რომ ქართველი, რომელიც ჩადის ემიგრაციაში, აღირიცხოს იმ ქვეყანაში, განსაკუთრებით თუ 6-10 თვე და ერთი წელი რჩება იქ. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ქვეყანამ უნდა იცოდეს, ვინ სად ცხოვრობს. იგივე კორონავირუსის საკითხი ავიღოთ, საჭირო რომ გახდეს ქართველების ევაკუაცია, ხომ უნდა იცოდნენ, სად არიან? ჩვენ არ ვიცით, სად არიან ჩვენი ემიგრანტები, რადგან არ რეგისტრირდებიან.

დიახ, შიშები აქვთ, მაგრამ ამას ახსნა-განმარტება უნდა, საინფორმაციო საფუძვლის შექმნა, სივრცის შექმნა, რომელიც ჩვენ არ გვაქვს. არ გვაქვს ქართული ტელევიზია, ქართული რადიო, ქართული გაზეთები, ანუ ემიგრაციას არ გააჩნია ფუფუნება, ჩვენ ახლა ვქმნით ამას და სწორედ, ამიტომ გვინდა გაკეთდეს ერთიანი ქართული ემიგრანტული ტელეარხი, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ქართულ დიასპორას. ამ ეტაპზე არანაირი ინფორმაციული მხარდაჭერა არ არსებობს.

**ეს არის საინფორმაციო ვაკუუმი, რომელიც შექმნილია და ამის გარღვევა აუცილებელია. ქვეყანაში არაფერი არ კეთდება - ეს არ არის სწორი. რაღაცები კეთდება, რაღაცები არ კეთდება და რაღაცები ვერ კეთდება. საჭიროა ახსნა იმისა, რა გაკეთდა, და თუ არ გაკეთდა, რატომ? თავად მოგეხსენებათ პიარის კუთხით რამდენად „წარმატებულია“ დღევანდელი ხელისუფლება. სრული ანტიპოდია იმისა, რაც ადრე იყო. პირველ შემთხვევაში, პიარი თუ ჭარბი იყო, ახლა, ფაქტობრივად, საერთოდ არ არის. არც ერთი ვარგა და არც მეორე. ჩვენ, თითქმის, საინფორმაციო ვაკუუმში ვართ. არ გვაქვს ინფორმაცია იმაზე, რეალურად რა ხდება ქვეყანაში.**

გასაგებია, რომ პრობლემები არის, მაგრამ ზოგადად, ბევრი რაღაცა გაკეთდა და ამას სჭირდება გახმოვანება. მოგეხსნებათ, ფეიკნიუსები ამერიკაშიც არის გავრცელებული, ისევე როგორც ჩვენთან. სოციალურ ქსელში ისეთ ინფორმაციებს კითხულობ, მაგრამ რომ გადაამოწმებ, ნახავ, რომ ასე არ არის. ინფორმაციული ვაკუუმი ხელს უწყობს უნდობლობის მატებას, ეს იქნება ემიგრანტი, თუ ადგილობრივი. ჩვენ გვინდა, რომ ემიგრანტებმა მიიღონ სწორი და მართალი ინფორმაცია, რომ სწორი შეფასება გააკეთონ.

ამიტომ, ჩვენი მთავარი, ამოსავალი წერტილი არის ის კონცეფცია, რომელიც წარვადგინეთ პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე — „ძლიერი სათვისტომო, ძლიერი საქართველო“. ერთიანობა თუ არ იქნა, ძალიან ძნელია მიზნის მიღწევა და ამაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მედიას. სწორედ, რომ ძლიერი მედიის შექმნა შედის ჩვენს პროექტში.

**— კონკრეტულად რა უნდა გააკეთოთ, ამ ამოცანის გადასაჭრელად რა ტაქტიკა გაქვთ?**

— ჩართულობას სხვადასხვა ფორმა აქვს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია არჩევნებში ჩართულობა, უფრო მეტი ხმის ჩართვა საარჩევნო პროცესში. საიდუმლო არ არის და რაც არ უნდა დასანანი იყოს, ყველა ემიგრანტი ხვდება, რომ ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ინტერესი ემიგრანტის მიმართ დაბალია, რადგან ემიგრანტები არ აღძრავენ ელექტორალურ ინტერესს. შესაბამისად, არც ერთი ხელისუფლება, არც ოპოზიცია არ არის დაინტერესებული იმით, რომ რამე გაუკეთონ ემიგრანტებს, ეს სამწუხარო ფაქტია. 24 თებერვალს პარლამენტის კომიტეტის სხდომა იყო, ოპოზიციის არც ერთი წარმომადგენელი არ მოვიდა, არ აიტერესებდათ.

**— ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმშია დ ამით შეიძლება აიხსნას მათი არმისვლა...**

— ჩვენ, ემიგრანტები არაფერ შუაში არა ვართ ბოიკოტთან. ვის უცხადებენ ბოიკოტს? ჩვენ, ემიგრანტებს?! ეს იყო ემიგრაციის ლონისძიება და არა კომიტეტის სხდომა.

**— გარდა საარჩევნო სისტემისა, არის ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია იმ ემიგრანტებისთვის, ვინც ახლა სამუშაოდ არის წასული, ეს არის დასაქმება, ბინადრობის პრობლემა, ჯანდაცვა და ა.შ. თქვენი ორგანიზაციის გეგმაში არის ამ მიმართულებით მუშაობა?**

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ადამიანი ემიგრაციაშია. არ შეიძლება 5-მილიონიან ერს 2-მილიონიანი ემიგრაცია ყავდეს, ეს ძალიან ბევრია. სწორედ იმიტომ უნდა ჩაერთოს აქტიურად ემიგრანტი საარჩევნო პროცესში, შეიქმნას ისეთი პირობა, რომ მალე დაბრუნდეს სამშობლოში. ჩვენ გვაქვს პროექტები და ერთ-ერთი არის „გეორგია“. ეს არის სასოფლო-სამეურნეო ცენტრების შექმნა, რაზეც დღეს დგას ისრაელის ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა. ეს არის ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომელიც შექმნის პირობას, რომ ემიგრანტები დაბრუნდნენ სამშობლოში. ოდესღაც ხომ უნდა დავბრუნდეთ. ჩემი შვილები ამერიკაში დაიბადნენ, მაგრამ ჩემი სურვილია, რომ საქართველოში იცხოვრონ. რეინტეგრაციის თემა თუ არ დავძარით და სახელმწიფო პოლიტიკა თუ არ გავხადეთ დაბრუნების თემა, სხვანაირად არ გამოვა. დღეს ქვეყანა ისეთ ეტაპზეა, რომ არსებული კონტიგენტის გამოკვებაც უჭირს. 2-3 მილიარდი დოლარი ემიგრანტებისგან შემოდის ქვეყანაში და ამის გამოა, რომ სოციალური კრიზისის და რევოლუციის საფრთხე არ არის. ამიტომ ურჩევნია ადამიანს, იყოს ემიგრაციაში, რადგან რომ ჩამოვიდეს, იცის, უმუშევარი დარჩება და ელემენტარულად, საჭმელი არ ექნება.

**— ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე მინდა გკითხოთ, როცა მან თქვა, რომ მთავრობაში მიმდინარეობს მუშაობა უცხოეთში ჩვენი ემიგრანტების ლეგალურ დასაქმებაზეო. მის ამ განცხადებას ბევრი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. თვითონ ემიგრანტები როგორ უყურებენ ამ თემას?**

— თავიდან, ჩემთვისაც ცოტა გაუგებარი იყო ეს განცხადება. იმის თქმა, რომ მომავალი 20 წლის განმავლობაში ვერ დაგასაქმებთ 2 მილიონ ადამიანს, ეს ცოტა სხვა თემაა. კი, შეიძლება დღეს ჩვენ არ გვაქვს დასაქმების საშუალება, მაგრამ ჩვენი სურვილია, რომ დაბრუნდეს ეს ქართველობა სამშობლოში. საქმე ისაა, რომ სათქმელი არ იყო ნათლად თქმული და ხალხმაც ასე გაიგო, რომ აი, ბიძინა ივანიშვილი ამბობს, მე თქვენ ვერ დაგასაქმებთ და წადით იმუშავეთ საზღვარგარეთო. თუმცა ასეც არ იყო ნათქვამი. ნათქვამი იყო, რომ ვინც აქ ვერ საქმდება და მიდის შრომით ემიგრაციაში, შევუქმნათ ყველა პირობა, რომ იქ ღირსეულად იმუშაოს.

**— ეს თემა ხომ არ გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ მიგრაციას?**

— რა თქმა უნდა, გამოიწვევს, ამიტომ არის ცუდი. ჩემთვის, როგორც დროებითი ემიგრანტისთვის, მტკივნეული მომენტია. იმიტომ, რომ ემიგრაციაში წასვლა უკვე ნიშნავს, რომ იქ დარჩენის შანსია ძალიან მაღალი. 200 ათასი ბავშვია დაბადებული ემიგრაციაში, რომელთა უმრავლესობამ ქართული არ იცის და ჩვენთვის ეს დაკარგული ქართველის სინდრომია, მით უმეტეს, ჩვენს დემოგრაფიულ რეალობაში. ფაქტობრივად, კატასტროფაში ვართ. გაერომ მომამკვდავი ერების სიაში ჩაგვწერა კიდეც. ამიტომ, ამის ფონზე, ემიგრაციის წახალისება ძალიან სახიფათო რამ არის.

უნდა იმუშაოს სახელმწიფომ, საჭიროა სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებები, ამერიკის ხელისუფლებასთან გაფორმებულია ქარტია. არსებობს სპეციალური პროგრამა, ეს არის ქვეყნის სტატუსი, რომელსაც აძლევს ამერიკის ხელისუფლება იმ ქვეყნებს, ვინც გაიარა კატაკლიზმები, მათ შორის ომი. ანუ, ის ხალხი, ვინც ვერ ბრუნდება უკან, აძლევენ ოფიციალურად მუშაობის უფლებას და ჩვენ ასეთი ძალიან ბევრ გვყავს, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები, რომლებიც ამერიკაში არალეგალები არიან. ეს საკითხი რომ დაყენებულიყო ათი წლის წინ, დღეს უკვე ეს პრობლემა არ იქნებოდა.

წინა ხელისუფლების დროს სხვანაირი პოზიცია იყო — მაშინ რეგიონში საქართველო იყო „დემოკრატიის შუქურა“, წარმატების მაგალითი და ა.შ. ამიტომ, წინა ხელისუფლებას არ უნდოდა, დასახმარებელი ქვეყნების სიაში ვყოფილვიყავით. ამას მატრაკვეცობას ვეძახი, ბოდიში ამ სიტყვისთვის, მაგრამ ასეა.

**— დღეს მსოფლიოში საკმაოდ ძლიერია სომხური ლობი, ისინი როგორ მუშაობენ, როგორ ახერხებენ ამას?**

— „ამერიკის ხმაზე“ სომხური ლობის წარმომადგენელი ღიად ამბობდა, რომ ჩვენ ვმუშაობთ, ვიცით, რა გვინდა, ვიცით, ჩვენი ინტერესები რა არის, ჩვენ ვაფინანსებთ ახალგაზრდებს, უფასოდ ვულებთ ბინებს ვაშინგტონში, ვაფინანსებთ მათ განათლებას, კონტაქტებს, შეხვედრებს, ურთიერთობებს, ანუ ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენს ლობსო, არ მალავენ ამას.

**— თუმცა ისინი ფინანსურად მყარად დგანან, ამის საშუალება რამდენად აქვს ქართულ დიასპორას?**

— სამ მილიარდნახევარზეა ასული გადმორიცხვები. როცა ამდენი ფული შემომაქვს ეკონომიკაში, იქიდან 500 ათასი ლარია საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით ემგირაციის დაფინანსება, რაც ცოტა სასაცილოა. არარეალურია, ამის საფუძველზე ააშენო ძლიერი სათვისტომო, ლობი, რომელიც შენ დაგიცავს და შენს ინტერესებს გაატარებს იმ ქვეყანაში, სადაც შენი მოსახლეობა ცხოვრობს, ეს არასერიოზულია. ემიგრანტი პოტენციური ლობია, რაც აქაური გაგებით არის ლობისტური კომპანია. დაიქირავე ლობისტი, ფული გადაუხადე და საქმეს გაგიკეთებს. ეს ლობი დღეს შენია, ხვალ სხვისია. როგორ მოდის ინფორმაცია საქართველოდან ამერიკაში, კონგრესში, სენატში, თეთრ სახლში, ამას სხვადასხვა ნიუანსები აქვს. კონგრესმენს და სენატორს არ აქვს იმის არც დრო და საშუალება, რომ დაჯდეს, 250-ფურცლიანი დასკვნა წაიკითხოს. ამაზე უნდა იმუშაოს ლობმა, რომელიც არის დიასპორა.

**— ანუ, იმას ამბობთ, რომ ეს უნდა იყოს სახელისუფლებო შტოს ერთგვარი გაგრძელება?**

— დიასპორა სახელმწიფოს მარჯვენა და მარცხენა ხელია, ერთია სახელმწიფო ბერკეტი, რომელიც არის საელჩო, მეორე არის დიასპორა. გარკვეული პოლიტიკური აქტივობის ხარჯზე, შეგვიძლია ჩვენი პოზიციები გავიმყაროთ. იმ კონგრესმენს და სენატორს დავუჭიროთ მხარი, ვინც ჩვენს ინტერესებს დაიცავს.

**— იქნებ დააკონკრეტოთ, რას ითხოვთ სახელმწიფოსგან და როგორი უნდა იყოს მისი როლი?**

— ყოველთვის რთულია კონკრეტული საკითხის დაძვრა, ნდობის მომენტია, პასიურობის, ნიჰილიზმის და ა.შ. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ქართულ-ამერიკული ალიანსი, რატომ გავაკეთეთ ეს? - იმიტომ, რომ მე თვითონ ამერიკელი რესპუბლიკელი ვარ, ჩვენ გვინდა, რომ ქართველი ემიგრანტები ჩავრთოთ ადგილობრივ საარჩევნო პროცესში. თუ შენ არ ჩანხარ პოლიტიკურ რადარზე, არ აინტერესებ იქაურ პოლიტიკურ ელიტას, შეუმჩნეველი ხარ. 17 დეკემბერს გვქონდა კონფერენცია, ერთ-ერთმა რესპუბლიკელმა მეგობარმა ღიად თქვა, რომ თქვენ არსად არ ჩანხართო. ქართული სათვისტომო არ ჩანს ამერიკულ პოლიტიკურ ველზე და ამ დროს მარტო ბრუკლინში 80 ათასი ქართველი ცხოვრობს. აქედან რამდენიმე ათასი ამერიკის მოქალაქეა. ჩვენ თუ დავირაზმებით და ქალაქის, შტატის, თუ ფედერალურ დონეზე გავიყვანეთ ჩვენი მეგობრები, რომლებიც საქართველოს იცნობენ, ამ ხალხის მხარდაჭერით ჩვენ შეგვიძლია სერიოზული ლობი შევქმნათ და არა ის, რომ ლობისტი დაიქირავო და ფული მისცე. ჩვენ, ჩვენი სათქმელი ვთქვით, ველოდებით რეაგირებას.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**
FOR.GE

# ახლო აღმოსავლეთი ადუღდა!

**იდლიბის პროვინციაში უკიდურესად დაძაბული ვითარებაა. საჰაერო თავდასხმებს 33 თურქი სამხედრო ემსხვერპლა, 40-ზე მეტი დაჭრილია. მსხვერპლი თურქი სამხედროების კოლონაზე რუსეთის მხარდაჭერით მოქმედი სირიის ავიაციის საჰაერო იერიშებს მოჰყვა. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია თურქეთ-სირიის საზღვარზე. როგორც ცნობილია, იდლიბის პროვინციის ძირითად პოზიციებზე, რუსეთის დახმარებით, სირიის მთავრობის ჯარებმა კონტროლი რამდენიმე დღის წინათ დაამყარეს.**

**თურქეთის სამხედრო ძალებზე იერიშებიდან მალევე ანკარამ საპასუხო თავდასხმები განახორციელა. დაბომბილია ასადის ძალების ობიექტები. ანკარაში სამხედრო ოპერაციის შეჩერებას არ აპირებენ. თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი აცხადებს, რომ ასადის რეჟიმის ძალები კვლავ ძლიერია, მაგრამ იდლიბში მოვლენები თურქეთის სასარგებლოდ ვითარდება. ერდოღანის მრჩეველთა საბჭოს წევრი მესუთ ჰაკი ჩაშინი აცხადებს, რომ თურქეთი რუსეთს წარსულში 16-ჯერ ეომა და ამას კიდევ ერთხელ იზამს.**



## თურქეთზე თავდასხმა ნატოზე თავდასხმაა!..




**„თურქეთის შურისძიება საშინელი იქნება. რუსეთი, სადაც 25 მილიონი მუსლიმი ცხოვრობს, შიგნიდან დაიშლება“,** — აღნიშნა **მესუთ ჰაკი ჩაშინმა.**

სირიის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარ მოქმედებებში მხარდაჭერას ანკარას უცხადებს აშშ სახელმწიფო მდივანი. **მაიკ პომპეო** აცხადებს, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. მისივე თქმით, ამ ეტაპზე ასადის რეჟიმის ქმედებები ზრდის კონფლიქტის რისკს ნატოს მოკავშირე თურქეთთან.

**„ასადის რეჟიმის სასტიკმა ახალმა აგრესიამ, რომელსაც მოსკოვი უჭერს მხარს, ტრაგიკული ვითარება შექმნა. ასადის რეჟიმი ვერ შეძლებს სამხედრო გამარჯვების მოპოვებას“,** — აცხადებს **მაიკ პომპეო.**

ტრადიციულად, რუსეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ თურქი სამხედროები დაბომბვის დროს **„ჰაიატ ტაჰრირ ალ-შამის“** მებრძოლებთან ერთად იმყოფებოდნენ. თავდაცვის უწყებაში ამბობენ, რომ „ჰაიათ ტაჰრირ ალ-შამის“ დაჯგუფება სირიის სამთავრობო ჯარზე მასშტაბურ შეტევას ახორციელებდა, რა დროსაც სირიის ავიაციამ მოწინააღმდეგის პოზიციები დაბომბა. ოფიციალური მოსკოვი ამტკიცებს, რომ სირიაში მოქმედი შერიგების რუსული ცენტრი ანკარასთან მუდმივ კონტაქტზე იმყოფებოდა, მუდმივად ითხოვდა და იღებდა ინფორმაციას თურქი სამხედროების ადგილსამყოფლის შესახებ, რომლებიც ტერორისტების მახლობლად იმყოფებოდნენ.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ამტკიცებენ, რომ მიღებული ინფორმაციით, ქალაქ ბეჰუნის მახლობლად თურქეთის ჯარის დანაყოფები არ იყვნენ განლაგებული და იქ არც უნდა ყოფილიყვნენ. სირიის პროვინცია იდლიბში ვითარების უკიდურესად გამწვავების პარალელურად რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ორი ფრეგატები ბოსფორისა და დარდანელის სრუტის გავლით, ხმელთაშუა ზღვაში გადაადგილდებიან. ფრეგატები „ადმირალი მაკაროვი“ და „ადმირალი გრიგოროვიჩი“ სარაკეტო კომპლექს „კალიბრით“ არიან აღჭურვილნი.

იდლიბში განვითარებული მოვლენების ფონზე თურქეთი ნატოსთან კონსულტაციებს იწყებს. თურქეთის მმართველი პარტიის „სამართლიანობისა და განვითარების“ პრეს-სპიკერის **ომერ ჩელიკის** განცხადებით, თურქეთი ამ თავდასხმას განიხილავს როგორც ნატოზე თავდასხმას.

**„არ უნდა დავივიწყოთ, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალები იცავენ როგორც თურქეთის ეროვნულ უსაფრთხოებას, ასევე ნატოს სამხრეთ საზღვარს. თურქეთზე მიმართული თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას ნატოზე“,** — განაცხადა **ომერ ჩელიკმა.**

**ნატოში აშშ-ის ელჩის ქეი ბეილი ჰათჩისონის განცხადებით, თურქეთი მოკავშირეა, მრავალ სფეროში ერთ მხარეს ვართ, მაგრამ განსაკუთრებით სირიის საკითხში. განიხილავს თუ არა აშშ თურქეთის მხარდაჭერას სამხედრო ან სადაზვერვო კუთხით, ელჩი აცხადებს, რომ ვითარება ძალიან რთულია და ამ საკითხზე ვაშინგტონში აუცილებლად იმსჯელებენ.**

**„აშშ-ში თურქეთის დახმარების საკითხი განიხილება. ძალიან, ძალიან რთული ვითარებაა. უნდა ვთქვა, რომ მნიშვნელოვანია, ჩვენ ერთად დავდგეთ რუსეთისა და სირიის რეჟიმის წინააღმდეგ. ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ არის მიღებული ამასთან დაკავშირებით. რთული ვითარებაა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ რუსეთისა და სირიის, სირიის რეჟიმის, ასადის წინააღმდეგ დავდგეთ. ჩემი აზრით, პრეზიდენტი ერდოღანი მიხვდება, რომ ჩვენ ვიყავით მათი მოკავშირე წარსულში და ვიქნებით მომავალშიც. მათ არ უნდა გამოიყენონ S-400-ები“,** — განაცხადა **ქეი ბეილი ჰათჩისონმა.**

თურქეთმა ნატოს წესდების მე-4 მუხლი გამოიყენა და ნატოს საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება მოითხოვა. ნატოს წესდების მე-4 მუხლი არ გულისხმობს სამხედრო ჩარევის მოთხოვნას, გულისხმობს კონსულტაციებს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წევრი სახელმწიფოების მიწა-წყლის მთლიანობას, უსაფრთხოებას ან პოლიტიკური დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრება. ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **ირაკლი გოგავა** ამბობს, რომ თურქეთს და რუსეთს სირიაში აქვთ ცხელი ხაზი, რომლის მიხედვით საკუთარი სამხედრო ნაწილების ადგილმდებარეობას ერთმანეთს მუდმივად აცნობენ.

**„რუსეთის გენშტაბი აცხადებს, რომ თურქების მიერ მიწოდებული ინფორმაციით, თურქული ნაწილები არ უნდა ყოფილიყვნენ იმ ადგილას, რომელზეც სირიის არმიამ საჰაერო იერიში მიიტანა ორგანიზაცია „ჰაიატ ტაჰრირ ალ შამის“ წინააღმდეგ. ეს ორგანიზაცია ტერორისტული ჯგუფების „ალ ნუსრას“, „ალ ყაედას“, „ბინ ლადენის ფრონტის“ და კიდევ 160-მდე შეიარაღებული ჯგუფისგან შეიქმნა და დღეისთვის დაახლოებით 14,000-მდე მეომარს აერთიანებს.**

**ეს ორგანიზაცია სირიის მთავრობას ებრძვის „სირიის თავისუფალი ჯარის“ მხარდამხარ, რომელსაც ტრადიციულად თურქეთი უწევს დახმარებას. რუსები აცხადებენ, რომ თურქეთი არ ასრულებს სოჭის შეთანხმებას. სირიას აქვს უფლება, იდლიბი გაწმინდოს ტერორისტებისგან და თურქული ნაწილები აღმოჩნდნენ ტერორისტული ორგანიზაციის შეტევითი ოპერაციის მონაწილენი, რა დროსაც იწვნიეს სირიული ჯარის დარტყმა. მოვლენების განვითარება გვაჩვენებს, რომ რუსეთის და თურქეთის ვითარებითი კავშირი შეირყა, მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ორივე მხარე ერიდება უშუალო სამხედრო დაპირისპირებას სირიის მიწა-წყალზე“,** — აცხადებს ირაკლი გოგავა.

თურქეთიდან ევროკავშირის მიმართულებით ასობით ლტოლვილი დაიძრა. ლტოლვილები საბერძნეთისა და ბულგარეთის საზღვრისკენ მიემართებიან. შეგახსენებთ, რომ საჰაერო თავდასხმამდე თურქეთის მთავრობამ განაცხადა, იდლიბში ვითარების დაძაბვის შემდეგ ანკარა სირიელ ლტოლვილებს ევროპისკენ გადაადგილების საშუალებას მისცემს.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ხათუნა ლაგაზიძე** ფიქრობს, რომ თუ თურქეთმა სირიელ მიგრანტებს ევროპისკენ დაძვრის საშუალება მისცა, საქართველოს საზღვრების დაცვა მხოლოდ კორონასგან აღარ მოგვიწევს და ეს გაცილებით რეალური საფრთხეა.

**„აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თურქეთმა ნატოს მიმართა, აამოქმედოს მე-5 მუხლი და რუსეთის მიერ თურქეთის სამხედრო კოლონის დაბომბვა ნატოს წევრ ქვეყანაზე თავდასხმად შეაფასოს. ნატო უმძიმესი არჩევანის წინაშე დგას: უარი უთხრას თავდაცვაზე თავის ერთ-ერთ უდიდეს წევრს; რუსეთის ბომბები ასადის რეჟიმს გადააბრალოს და ომი გამოუცხადოს სირიას თუ პირდაპირ აღიაროს რუსეთის თავდასხმა თურქეთზე, გამომდინარე შედეგებით.**

**როგორ და სად გაგრძელდება რუსეთ-თურქეთის ომი: მხოლოდ სირიაში თუ მის ფარგლებს გარეთ; და მთავარი საფრთხე ჩვენთვის - რა მასშტაბს მიიღებს და როგორ მოუბრუნდება რუსეთ-თურქეთის ომი საქართველოს; რა შეიძლება მოსთხოვოს ასეთ შემთხვევაში რუსეთმა საქართველოს და რა პოლიტიკური და ზნეობრივი ვალდებულებები დაგვეკისრება, როგორც ნატოს მეგობარ ქვეყანას?! რა დაემართება თურქულ ლირას და ქართულ ლარს?! საქართველო ვითარების გართულების შემთხვევაში არნახული გამოწვევების წინაშე დგება“,** — აცხადებს **ხათუნა ლაგაზიძე.**

ჯერჯერობით, თურქეთ-სირიის კონფლიქტის გამო, საქართველოსთვის პირდაპირი საფრთხეები არ არსებობს. სამხედრო ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** ამბობს, რომ სირია და თურქეთი ფართომასშტაბიანი ომის ზღვარზეა. შეიცვალა თურქული და რუსული მედიის რიტორიკა, თუმცა, ჯერ კიდევ მოზომილია, მაგრამ უკვე ღია კრიტიკაა.

**„ნატო, მიუხედავად ერდოღანის მიმართვისა, ჯერ ვერ ხედავს მე-5 მუხლის ამოქმედების საჭიროებას. საბრძოლო მოქმედებებს კი, იდლიბის რაიონში, უშუალოდ თურქეთის თავდაცვის მინისტრი ხელმძღვანელობს. ეს ბევრზე მეტყველებს. მივადევნოთ თვალი. პროგნოზებისგან თავის შეკავება ჯობია, რადგან ჩვენ არ ვწყვეტთ. მოვლენათა განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომლებიც, შესაძლოა, მყისიერად შეიცვალოს. როცა ორი ვარიანტია, ან დიდი ომი იქნება, ან - არა. სწრაფად დარეგულირების პერსპექტივაც არ ჩანს.**

**ეს რუსეთ-თურქეთის ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნების მთელი პაკეტის მხოლოდ ნაწილია, რომლებიც, როგორც წლების წინ ვწერდი, დროებით, ხაზს ვუსვამ, დროებით თაროზე ჰქონდათ შემოდებული. მოახერხებენ თუ არა ისევ თაროზე შემოდებას, დავაკვირდეთ. კოლეგებს ვთხოვ, თავი შეიკავოთ ამ პროცესებთან საქართველოს მიბმისგან და საქართველოში შესაძლო რაღაც სცენარების აღწერისგან. ყველაფერი ღია სივრცეში არ განიხილება. დავაკვირდეთ სირიას“,** — ამბობს ამირან სალუქვაძე.

ვითარება მართლაც მძიმეა, თუმცა ვინაიდან პროცესები ვითარდება სირიაში და არა თურქეთში, პოლიტოლოგი **სოსო მანჯავიძე** არ ფიქრობს, რომ ნატო მე-5 მუხლს აამოქმედებს.

**„გაშუალოებული ომი უკვე მიმდინარეობს, თუმცა ის ჯერჯერობით არ ატარებს კონვენციური გამოცხადებული ომის ხასიათს თურქეთსა და სირიას შორის და მით უმეტეს თურქეთსა და რუსეთს შორის. ორივე მხრიდან გვესმის პროპაგანდისტული საინფორმაციო ხმაური. ძალიან ბევრი უმწიფარი აზრებიც ისმის. არის ასეთი მოსაზრებაც, რომ თითქოს ეს თამაშია და ერდოღანი-პუტინის შეხვედრის წინ საგანგებოდ დაუთმეს ქალაქი სარაქიბი, რომ ერდოღანისთვის სახე შეენარჩუნებინათ, ასეთია რუსული საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაცია. მოგეხსენებათ, რომ ისინი არ გამოირჩევიან მიუკერძოებლობით.**

**თურქეთის შეტევის შედეგად და იმის გამო, რომ თურქეთის მოკავშირე მებრძოლებს დიდი რაოდენობით მიაწოდეს ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები რუსულ ავიაციას უკვე უჭირს საჰაერო სივრცის ისეთივე შეუზღუდავი კონტროლი, როგორც მანამდე იყო. ამას მოჰყვა ქალაქი სარაქიბის აღება და რუსი სამხედროების მსხვერპლი. მოგეხსენებათ, რომ რუს სამხედროებს ახასიათებთ მასშტაბური შურისძიებები და ასეც ქნეს. 33 თურქი სამხედროა გარდაცვლილი, 40-ზე მეტი დაჭრილი. ამაზე დიდი მსხვერპლი და დაპირისპირება წარმოუდგენელია“,** — აცხადებს **სოსო მანჯავიძე.**

პოლიტოლოგი ეჭვობს, რომ იოლად მოხდეს ამ კონფლიქტის განმუხტვა.

**„თურქეთში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა, ხოლო სირიის ყველა ობიექტი კანონიერ სამხედრო სამიზნედ არის მიჩნეული. უახლოეს საათებში ერდოღანი თურქეთის მოსახლეობას მიმართავს და სავარაუდოდ სირიას ომს გამოუცხადებს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა შედეგები მოჰყვება ამას. სამწუხაროდ, მსოფლიოში არ ჩანს ძალა, რომელიც მოვლენათა ასეთ არანორამლურ განვითარებას შეაჩერებს, თუმცა მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კაცობრიობა ახალ გლობალურ ტრაგედიას თავიდან აიცილებს. რაც შეეხება ნატოს, ჯერჯერობით მისი საბრძოლო მოქმედებებში უშუალო ჩართვა არ არის მოსალოდნელი, თუმცა მოვლენათა არასასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში, არც ეს არის გამორიცხული“,** — აცხადებს სოსო მანჯავიძე.

**თამთა ქარჩავა**

# ვინ იყო კოკო შანელი?



**ეს ერთ-ერთი ყოვლის უფრო გონიერი და სასიამოვნო და ყოვლის უფრო ძლიერი ქალია, ვისთანაც კი ოდესმე მქონია საქმე.**
**უინსტონ ჩერჩილი**

**გაბრიელ ბონიორ შანელი %1883-1971) — ფრანგი დიზაინერი, მეწარმე, განუჭვრეტელი და უმშვენიერესი, კეკლუცი და წარმოუდგენლად მიმზიდველი, გენიალური და მეტისმეტად მკვეთრი, XX საუკუნის ქალთა მოდის კანონმდებელი.**

დღეს არცვისთვის საიდუმლო არ არის, რომ თუ არა კოკო შანელი, შეუძლებელია XX საუკუნის ნატიფი მოდისა და პარფიუმერიის, ანუ ინანთეულის წარმოდგენა.

თუმცა შანელი ცნობილია არა მარტო როგორც მოდის და სტილის კანონმდებელი, არამედ როგორც დაუჯერებლად გონებამახვილი, ენაგესლიანი, ბრძენი საერო ძუ, მრავალთუმრავლესი აფორიზმისა და თვალსაჩინო ხუმარსიტყვის ავტორი.

შანელის სუყოველი გამონათქვამი, გარდაცვალებიდან აგრერიგად დიდი დროის შემდეგაც, ფრიად თანამედროვეა.

ეს კრებული მადმუაზელ კოკოს საუკეთესო და სახელგანსმენილი გამონათქვამების კრებულია.

კოკო შანელი დაიბადა 1883 წლის 19 აგვისტოს სომიურში. მშობლებს მუდმივი საცხოვრისი არა ჰქონდათ და არც ჯვარდაწერილნი ყოფილან. დედას არ შეეძლო შვილის რჩენა და უპატრონო ბავშვთა სახლს — ხანაგას მიაბარა. გაბრიელი 12 წლის რომ გახდა, დედაც დაელუპა, მამამ პატარა კოკო კათოლიკურ მონასტერში მიიყვანა, მერე ინტერნატში. იძულებული, მრავალი წლის მანძილზე ფორმა სცმოდა, კოკო ოცნებობდა, თავისებურად ჩაცმული ენახა ქალები.

1910 წელს კოკომ პარიზში შეიძინა საშლაპო სახელოსნო, რომელიც მალევე მოდების სალონად გადააქცია. 1913 წელს ატელიე გახსნა საკურორტო ქალაქ დოვილში, ქვეყნის ჩრდილოეთში, მოგვიანებით კი სამხრეთ-დასავლეთში ბიარიცაში. ასე თანდათან მიაღწია კოკომ წარმატებას და საყოველთაო აღიარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სიმაღლისთვის არ მიუღწევია არც ერთ ქალს მსოფლიოში. რა თქმა უნდა, შანელი თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო, ყოველთვის ჰქონდა თავისი პირადი აზრი და იცოდა, რაც უნდოდა.

მადმუაზელ კოკო შანელის განუმეორებელი სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ნატიფი მოდის ისტორიაში — ადამიანის მოღვაწეობის ყოვლის უფრო ჭირვეულ, განუჭვრეტელ და ცვალებად დარგში... მადმუაზელ კოკომ არაერთი სიახლე დანერგა ადამიანების შეგნებაში, რაც მანამ არცვინ არ იცოდა.

შანელის სტილზე რომ ვლაპარაკობთ, უწინარესად, მხედველობაში გვაქვს თავისუფლება, თანადროულობა. შანელის მიერ დანერგილი ქალთა მოდის სტილი და სხვადასხვა სახის აქსესუარები იმდენად სახელგანსმენილი გახდა, რომ ამერიკულმა ჟურნალმა კოკოს სახელი XX საუკუნის ყოვლის უფრო გავლენიან ადამიანთა სიაში შეიყვანა.

კოკო შანელი მიჩნეულია ყოვლის უფრო აღიარებულ მოდელიორად მთელ მსოფლიოში. კოკოს არ აშინებდა თავისი მძაფრი აზრების გამოთქმა. ეს აზრები კი უჩვეულო იყო როგორც ცხოვრებაზე, ისე საერთოდ სიცოცხლეზე.

კრებული შედგენილია როსტოველი რუსულენოვანი ჟურნალისტის ნინო გოგიტიძის მიერ, გამოსცა „ფენიქსმა“ (1917).

## „ქალი სიყვარული მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ეპიზოდია“,

**– ასე ამბობდა კოკო შანელი**



ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

## ქალებზე

არ უნდა ვიგულმავიწყოთ, რომ ქალი დღისით მუხლუხად ყოფნას ამჯობინებს, საღამოს კი – პეპლობას. პეპელა რომ არ დადის ბაზარში, მუხლუხს ბალი არ იზიდავს.

* * *

კოხტა ქალმა ბაზარში უნდა იაროს, რათა სიცილი არ დააყარონ დიასახლისებმა. ვინც ასეთ დროს იცინის, ყოველთვის მართალია.

* * *

სუყოველი ქალი ყოვლის უფრო სიშიშვლეს უახლოვდება, როცა გემოვნებით გამოპრანჭულია.

* * *

ხან ჩემს თავს ვეკითხები: როგორ შევძელი ყოველივე იმის მოხელკეთილება, რაც შევქმენი და ამავე დროს სიცოცხლის სიყვარულით ცხოვრება? არადა, ცხოვრების სიყვარული იმ ქალებზე მეტად შევძელი, რომელთაც ყოველდღე ვხედავ და ცუდად არ ცხოვრობენ.

* * *

ქალებო, თუ მთელი ფული ძვირფასი კაბის ყიდვას მოანდომეთ, განა ბედნიერნი არა ხართ?

* * *

ქალი ქალურიც უნდა იყვეს და ამასთანავე სპორტულიც, არცროდის გული არ უნდა გაიწყალოს ცარიელი და უაზრო ლაპარაკით.

* * *

თუ ქალი ვარცხნილობას იცვლის, მაშასადამე, მალე ცხოვრებასაც შეიცვლის.

* * *

ქალებს პატივმოყვარეობა არა აქვთ. ერთი ეგ არის, ფული უნდათ, ეს ერთი და იგივე არ არის! პატივმოყვარეობა რაღაცას ასწავლით. ეს არ აგულისყურებთ, ამერიკელ ქალთაგან განსხვავებით.

* * *

ქალში ძალიან მნიშვნელოვანია არა სამოსელი, არამედ ქალური ნაზი მიხრა-მოხრა, აგრეთვე მკაცრი რეჟიმი და წინდახედულობა.

* * *

ქალები მხოლოდ იმას ფიქრობენ, ვინ განაცვიფრონ, მაგრამ, ვინ?

* * *

ორმოცი წლის ქალს მოკლე კაბა არ უნდა ეცვას, ანუ კაბა, რომელიც ოცი წლის მიმზიდველ ქალიშვილს უხდება.

* * *

როცა ძალიან ლამაზი ქალი უჩვენებიათ ჩემთვის, ვეუბნებოდი: „სულაც ლამაზი არა მგონია. რატომ მიგაჩნიათ, რომ ლამაზია? რა სილამაზეს ხედავთ?“

* * *

ჭეშმარიტი ქალი ვალდებულია, რომ სურნელი მოგაფრქვიოთ და არა დაჭმუჭნილ თაიგულად გეჩვენოს.

* * *

თუ ქალიშვილი, ცირა ართვალია თვრამეტი წლისა, ეს ბუნების ბრალია, ხოლო, თუ ოცდაათისაც ულამაზოა, მაშასადამე, ბრიყვია.

* * *

ამ ქალმა იცის, რისი სწავლება შეიძლება და რისა – არა.

* * *

შეიძლება, რომ გამოპრანჭული იყვე, ოღონდ ძალზე კოხტა და მოხდენილი არა.

* * *

კარგად განვითარებული კუნთები სუყოველ კორსეტზე უკეთესია.

* * *

სიგერეში სიკოხტავე და კეკლუცად მიმზიდველი გარეგნობა პირად ღირსებაზე მეტყველებს. ახალგაზრდა ქალიშვილთ კეკლუცობა სრულიად არ ეჭირვებათ, აუტანელიც კია. ხოლო საკუთარი ტან-სხეული უნდა მოვარიდოთ უცხო თვალს და, საერთოდ, რაც შეეხება ტან-სხეულს, ურიგო არ იქნება, თუ გავანებივრებთ.



* * *

მდიდარ კლიენტზე:

მდიდარი ქალია, ძალიან მდიდარია და მაინც ბედასლია, იმიტომ, რომ თავი ლამაზი ჰგონია და საქციელითაც ისე იქცევა, ვითომ ლამაზი იყვეს, არადა, სულაც არ არის ლამაზი.

* * *

ქალს არ სჭირდება არავითარი სილამაზის ინსტიტუტი, მამაკაცის მოსიყვარულე მზერა ეჭირვება. თუ არა ეს მზერა, ქალი კვდება.

* * *

არცრა ქალს ისე სწრაფად არა აბერებს რა, როგორც სამოსელში სიმდიდრის ელემენტები, სამკაულები, ფურჩალ-მურჩალები და ზიზილ-პიპილოები. მე, მაგალითად, მთელი ცხოვრება მოწაფესავით ვიცვამ.

* * *

სილამაზე მუდამ შენთან რჩება, კარგი შესახედაობა კი წარმავალია, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალები არ ესწრაფვიან სილამაზეს, მხოლოდ მოხდენილად ყოფნას ამჯობინებენ.

* * *

ქალიშვილთ ცოტა რამ მოეთხოვებათ: კოხტანი და მოხდენილნი იყვნენ.

* * *

ყველა ქალს როდი აქვს ვენერას ფიგურა, მაგრამ დაფარული არცრა ღირს.

* * *

სუყველა ეს ქალბატონი ცუდად იყო ჩაცმული, სუყველა მჭიდრო კორსეტში იყო ჩაჭედილი, მთელი ძუძუმკერდი წინ ჰქონდათ წამოგდებული, უკან – ტრაკუცუნები, ისე იყვნენ ქამარწაჭერილნი, თითქოს შუაზე გაუჭრიათო. მსახიობი ქალები ქმნიდნენ მოდას, საწყალი საერო ქალბატონები იმათ ბაძავდნენ, ჩიტის ფრთები გაეჩარათ თმაში და კაბებში, ქუჩის ტალახში რომ დასთრევდათ.

* * *

თუ სიყვარული გინდა, არც იფიქრო ქალისგან ჩამოშორება, თავდავიწყებით ემსახურე, მთელი შენი ცხოვრება მიუძღვენი.

* * *

თორმეტი წლის ნინველნი საშინელი შესახედავნი არიან. ცოტაოდენი მოხერხება და ეგრევე წაგიწვება. ეს ყოვლის უფრო საშიში გარდამავალი ასაკია.

* * *

ფეხები არ უჩანს, ძუძუ-მკერდიც დაფარული აქვს, ბევრად უფრო სექსუალურია, როცა თვალით ჭამ.

* * *

არცრაა უფრო მოხერხებული და პრაქტიკული, ვიდრე მუხლუხის გარეგნობაა. არცროს იერსახე არ უხდება სიყვარულს ისე, ვიდრე მოფარფატე პეპელა, მაშასადამე, ქალს უნდა ათრეული კაბა და უცილოდ მფრინავი.

* * *

არ მესმის, როგორ შეიძლება, რომ ქალი მოუწესრიგებელი გავიდეს შინიდან. ეს საკუთარი თავის პატივისცემაა. თანაც კიდეც არცროდის ზუსტად არ იცი, რა შეიძლება, რომ იმ დღეს შეგემთხვეს, ვის გადააწყდები. უმჯობესია, რომ ლამაზად გამოიყურებოდე, როგორც ეს შესაძლებელია.

* * *

სხვისი სამოსლით გამოპრანჭვა აღმტაცებელი და გენიალურია, მაგრამ ნათხოვარი მალევე გაგეხდება, რაც სევდიანი და უღირსი საქმეა.

* * *

პროვინციაში ქალები პირდაპირ დამთხვეულები არიან, შენ ვერ გაიგებ ამას.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

# სატენდერო მოწვევა

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)

სესხის No.: IBRD 8599 -GE

კონტრაქტის დასახელება: ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 16 - კმ 25.5 სარეაბილიტაციო სამუშაოები

სატენდერო მოწვევა: SRAMP/CW/NCB-09

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის (SRAMP) პროექტისთვის.** აღნიშნული პროექტიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: **„ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 16 - კმ 25.5 სარეაბილიტაციო სამუშაოები“.**

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. სამუშაოების განხორციელების პერიოდია **12 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა **7 126 415,68 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით ITB - 14.7 ქვეთავის შესაბამისად. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შემოთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **1 190 000 ლარის** ოდენობით, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით (დამკვეთი იტოვებს უფლებას დააზუსტოს საკრედიტო ხაზის შესახებ წარმოდგენილი წერილი იმ შემთხვევაში, თუ ბანკიდან წარმოდგენილ საკრედიტო ხაზზე იქნება რაიმე დათქმა);

ბ. უკანასკნელი **3** წლის განმავლობაში (2017, 2018 და 2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **7 125 000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული დადასტურებული გადახდებისგან, გაყოფილი **3** წელზე;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის ზოგადი სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს ბოლო **5 წელს 2015 წლის 1 იანვრიდან;**

დ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) საფარიანი გზის მშენებლობის/ რეკონსტრუქციის/რეაბილიტაციის კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **5 700 000 ლარი** ან ორი (2) საფარიანი გზის მშენებლობის/რეკონსტრუქციის/რეაბილიტაციის კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **2 800 000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების **80%** ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია.

ე. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

• **2015 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ 30 000 მ² საფარის** მშენებლობის/რეკონსტრუქციის/ რეაბილიტაციის სამუშაოები.

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები.

5. სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

6. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, 25.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელქტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

7. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

8. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება;

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ შემოთავაზებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრაზე;

გ) გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)”. გთხოვთ, ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები ატვირთოთ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში;

დ) ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 120 დღე + 28 დღე=148 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციის - ტენდერში მონაწილეთა ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

9. დამკვეთის მისამართი:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**ირაკლი ქარსელაძე,**

**დეპარტამენტის თავმჯდომარე**

**მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო**

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

**GEORGIA**

**Secondary Road Asset Management Project (SRAMP)**

**Loan No.: IBRD 8599 -GE**

**Contract Title: Rehabilitation Works for Zhinvali – Barisakho - Shatili Road Section from km 16 – km 25.5**

**Bid invitation No.:** SRAMP/CW/NCB-09

1. Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Secondary Road Asset Management Project (SRAMP), and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract for Rehabilitation Works for Zhinvali – Barisakho - Shatili Road Section from km 16 – km 25.5.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids for execution of rehabilitation works. Implementation period for execution of works is **12 months.**

3. The estimated cost of proposed works is **GEL 7 126 415,68** including all taxes, duties and other levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Bidders shall meet the following minimum qualification criteria to qualify for award of the contract:

a) The Bidder shall demonstrate that it has access to, or has availability to liquid assets, unencumbered real assets, lines of credit (the letter from the bank must demonstrate bank's commitment to provide financing in case if the Bidder will be successful in subject tender. Letters from a bank only demonstrating bank's intention to finance bidder without any commitment may not be accepted by the Employer during evaluation and may be subject to clarification), and other financial means (independent of any contractual advance payment) sufficient to meet the construction cash flow requirements estimated as **GEL 1 190 000** for the subject contract(s) net of the Bidders other commitments;

b) Minimum average annual construction turnover of **GEL 7 125 000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within the last 3 years, divided by 3 (**2017, 2018 and 2019**) years;

c) Experience under construction contracts in the role of prime contractor, JV member, sub-contractor, or management contractor for at least the last 5 years, starting 1st **January 2015;**

d) A minimum number of similar contracts specified below that have been satisfactorily and substantially completed as a prime contractor, joint venture member , management contractor or sub-contractor between 1st **January 2015** and application submission deadline:

• at least one (1) contract for paved roads construction/reconstruction/rehabilitation works with the minimum value of **GEL 5 700 000**

Or

• two (2) contracts for paved roads construction/reconstruction/ rehabilitation works with minimum value of **GEL 2 800 000** each contract.

e) For the above and any other contracts completed and under implementation as prime contractor, joint venture member, management contractor or sub-contractor on or after the first day of the calendar year during the period stipulated in 4.2 (a) above, a minimum construction experience in the following key activities successfully completed:

• **at least 30 000 m² of road pavement rehabilitation/reconstruction/construction works completed during any one year.**

f) Additional Qualification Criteria as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 25.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the state E-procurement system. Government procurement procedures SHALL NOT apply for this procurement.

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid submission and bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System with certain modifications. Major modifications to the Georgian E-Procurement System are:

• Functionality of the three rounds of e-Reverse auction is not applied. Rounds will not be applicable.

• The estimated cost of the contract is disclosed in the e-Procurement system and bidders can submit a bid price, which could be below or above the estimated cost, however pricing the bid is the responsibility of the bidder which shall be based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

• Please note that bidding is conducted under National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers January, 2011 revised July 2014 ("Procurement Guidelines"). Requests for clarification should be submitted through the Georgian E- Government Procurement System.

• All bids should be submitted together with the Bid-Securing Declaration. Bid-Securing Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 120 days+28 days = 148 days). For bids submitted by a Joint Venture (JV) bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

9. The Employer's address:

Attention: **Mr. Irakli Karseladze, Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Street Address: **12 A. Kazbegi ave.**

City: **Tbilisi, 0160**

Country: **Georgia**

E-mail address: **info@georoad.ge**

# სატენდერო მოწვევა

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)

სესხის No.: IBRD 8599 -GE

**კონტრაქტის დასახელება: ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 25.5 - კმ 32 სარეაბილიტაციო სამუშაოები**

სატენდერო მოწვევა: SRAMP/CW/NCB-10

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის (SRAMP) პროექტისთვის.** აღნიშნული პროექტიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: **„ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 25.5 - კმ 32 სარეაბილიტაციო სამუშაოები".**

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვემდებარეობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. სამუშაოების განხორციელების პერიოდია **12 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა **8 124 221,43 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით ITB - 14.7 ქვეთავის შესაბამისად. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შემოთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **1 350 000 ლარის** ოდენობით, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით (დამკვეთი იტოვებს უფლებას დააზუსტოს საკრედიტო ხაზის შესახებ წარმოდგენილი წერილი იმ შემთხვევაში, თუ ბანკიდან წარმოდგენილ საკრედიტო ხაზზე იქნება რაიმე დათქმა);

ბ. უკანასკნელი **3** წლის განმავლობაში (2017, 2018 და 2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **8 125 000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული დადასტურებული გადახდებისგან, გაყოფილი **3** წელზე;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის ზოგადი სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს ბოლო **5 წელს 2015 წლის 1 იანვრიდან;**

დ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) საფარიანი გზის მშენებლობის/ რეკონსტრუქციის/რეაბილიტაციის კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **6 500 000 ლარი** ან ორი (2) საფარიანი გზის მშენებლობის/რეკონსტრუქციის/ რეაბილიტაციის კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **3 250 000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების **80%** ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

ე. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- **2015 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ 45 000 $მ^2$ საფარის** მშენებლობის/ რეკონსტრუქციის/ რეაბილიტაციის სამუშაოები.

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.

5. სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

6. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, 25.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

7. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

8. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცვლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება;

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ შემოთავაზებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრაზე;

გ) გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)". გთხოვთ, ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები ატვირთოთ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში;

დ) ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 120 დღე + 28 დღე=148 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციის - ტენდერში მონაწილეთათვის ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

9. დამკვეთის მისამართი:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**ირაკლი ქარსელაძე, დეპარტამენტის თავმჯდომარე**

**მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო**

**ელ. ფოსტა:** info@georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

**GEORGIA**

**Secondary Road Asset Management Project (SRAMP)**

**Loan No.: IBRD 8599 -GE**

**Contract Title: Rehabilitation Works for Zhinvali – Barisakho - Shatili Road Section from km 25.5 – km 32**

**Bid invitation No.:** SRAMP/CW/NCB-10

1. Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Secondary Road Asset Management Project (SRAMP), and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract for Rehabilitation Works for Zhinvali – Barisakho - Shatili Road from km 25.5 – km 32.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids for execution of rehabilitation works. Implementation period for execution of works is **12 months.**

3. The estimated cost of proposed works is **GEL 8 124 221,43 including** all taxes, duties and other levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Bidders shall meet the following minimum qualification criteria to qualify for award of the contract:

a) The Bidder shall demonstrate that it has access to, or has availability to liquid assets, unencumbered real assets, lines of credit (the letter from the bank must demonstrate bank's commitment to provide financing in case if the Bidder will be successful in subject tender. Letters from a bank only demonstrating bank's intention to finance bidder without any commitment may not be accepted by the Employer during evaluation and may be subject to clarification), and other financial means (independent of any contractual advance payment) sufficient to meet the construction cash flow requirements estimated as **GEL 1 350 000** for the subject contract(s) net of the Bidders other commitments;

b) Minimum average annual construction turnover of **GEL 8 125 000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within the last 3 years, divided by 3 (**2017, 2018 and 2019**) years;

c) Experience under construction contracts in the role of prime contractor, JV member, sub-contractor, or management contractor for at least the last 5 years, starting **1st January 2015;**

d) A minimum number of similar contracts specified below that have been satisfactorily and substantially completed as a prime contractor, joint venture member , management contractor or sub-contractor between **1st January 2015** and application submission deadline:

- at least one (1) contract for paved roads construction/reconstruction/rehabilitation works with the minimum value of **GEL 6 500 000**

Or

- two (2) contracts for paved roads construction/reconstruction/ rehabilitation works with minimum value of **GEL 3 250 000** each contract.

e) For the above and any other contracts completed and under implementation as prime contractor, joint venture member, management contractor or sub-contractor on or after the first day of the calendar year during the period stipulated in 4.2 (a) above, a minimum construction experience in the following key activities successfully completed :

- **at least 45 000 $m^2$ of road pavement rehabilitation/reconstruction/construction works completed during any one year.**

f) Additional Qualification Criteria as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 25.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the state E-procurement system. Government procurement procedures SHALL NOT apply for this procurement.

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid submission and bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System with certain modifications. Major modifications to the Georgian E-Procurement System are:

- Functionality of the three rounds of e-Reverse auction is not applied. Rounds will not be applicable.
- The estimated cost of the contract is disclosed in the e-Procurement system and bidders can submit a bid price, which could be below or above the estimated cost, however pricing the bid is the responsibility of the bidder which shall be based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.
- Please note that bidding is conducted under National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers January, 2011 revised July 2014 ("Procurement Guidelines"). Requests for clarification should be submitted through the Georgian E- Government Procurement System.
- All bids should be submitted together with the Bid-Securing Declaration. Bid-Securing Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 120 days+28 days = 148 days). For bids submitted by a Joint Venture (JV) bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

9. The Employer's address:

Attention: **Mr. Irakli Karseladze, Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Street Address: **12 A. Kazbegi ave.**

City: **Tbilisi, 0160**

Country: **Georgia**

E-mail address: **info@georoad.ge**

ლეგიონერი

# ერთი მერცხლის გაზაფხული

**ესპანეთის ლიგა ენდესას XXII ტურის საუკეთესო მოთამაშე თორნიკე შენგელია გახდა. „ბასკონია“ „ფუენლაბრადასთან“ 15 ქულით აგებდა, მაგრამ საბოლოოდ ორი ოვერტაიმის წყალობით გამარჯვება მოიპოვა.**

ამას ნამდვილად ვერ შეძლებდა, რომ არა ქართველი კაპიტნის დაუვიწყარი თამაში. შენგელიამ 47 წუთში 32 ქულა დააგროვა, რაც მისთვის სარეკორდო ნიშნულია ლიგა ენდესაში და ამით მიმდინარე სეზონის მერვე ტურში ნაჩვენები შედეგი (29 ქულა „მონბუსთან“) გააუმჯობესა.

თორნიკემ 14-დან 8 ორქულიანი (57%), 5-დან 3 სამქულიანი (60%) და 11-დან 7 საჯარიმო (64%) ჩააგდო. გარდა ამისა, ბურთი 13-ჯერ მოხსნა (ცხრაჯერ – დაცვაში, ოთხჯერ – შეტევაში), 5 შედეგიანი გადაცემა მიითვალა და ბურთი 3-ჯერ ჩაჭრა. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 44-ს გაუტოლდა, რაც „თოკომოტივის“ ესპანურ კარიერაში ასევე პირადსარეკორდო ნიშნულია. მანამდე საუკეთესი მაჩვენებელი (41) 2017-2018 წლების სეზონში „მურსიასთან“ 30-ე ტურში ჰქონდა დაფიქსირებული.

**„ძალიან ვამაყობ ჩემი თანაგუნდელებით და ამ გამარჯვებით. „ფუენლაბრადას“ დიდ პატივს ვცემ, რადგან შესანიშნავი მეტოქეა. ჩვენი ხასიათი გამოვავლინეთ და არასდროს ვნებდებით. ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რადგან პლეი-ოფს უფრო მივუახლოვდით. ჩემი სტატისტიკა ცალკეა, უსარგებლოა, თუ ვერ ვიგებთ. ყოველ შემთხვევაში, მადლობას ვუხდი ჩემს თანაგუნდელებს და მწვრთნელებს ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გუნდს გამარჯვებაში დავეხმარე“**, – თქვა შენგელიამ.

აქვე გეტყვით, რომ მიმდინარე სეზონში თორნიკე მერვე ტურისა და მოგვიანებით თებერვლის თვის MVP გახდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**



სულით უტეხი



# ტკივილმა გააძლიერა

**თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის 74 კგ წონით კატეგორიაში ლუკა მარიამიძე გახდა, რომელმაც ჩემპიონობა სულიერი სიძლიერის ხარჯზე მოიპოვა.**

მას შემდეგ, რაც მარიამიძე ნახევარფინალში გავიდა, მამამისი, რომელიც ტრიბუნებზე იმყოფებოდა, გულის შეტევით გარდაიცვალა. ლუკამ უდიდესი ტრაგედიის მიუხედავად ძალები მოიკრიბა, ნახევარფინალი მოიგო და ფინალში გავიდა.

ფინალურ ბრძოლაში მარიამიძის გამოცხადებას არ ელოდნენ, მაგრამ ის მაინც გავიდა ხალიჩაზე, სუფთად გაიმარჯვა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მამის ხსოვნას მიუძღვნა.

**კობა კობახიძე**

პროფესიონალი

# წესი და რიგი ფესვთაგან მოსდგამს



**შარშან ქართულ ფეხბურთში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: 42 წლის ასაკში მოთამაშის კარიერა დაასრულა ალეკო გოგობერიშვილმა, რომლის სპორტული დღეგრძელობაც მომავალ თაობებს მისაბად მაგალითად გამოადგებათ.**

**მის სახელს მრავალი წარმატება უკავშირდება, რაშიც ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის (სადაც რაჭის გულზვიად ერისთავთა ბარაკონის რეზიდენცია იწონებს თავს) მკვიდრის სადარბაზო ბარათიც დაგარწმუნებთ, მაგრამ ერთი მაინც განსაკუთრებულად მესახება. საუბარია XXI საუკუნეში ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთადერთ მიღწევაზე, როცა ივო შუშაკის გაწვრთნილმა თბილისის „დინამომ“ 2004 წელს მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა.**

**თქვენის ნებართვით, სიამაყით შეგახსენებთ იმ გუნდის შემადგენლობას: გვარამაძე (მან ღირსეულად შეცვალა პირველივე შეხვედრაში დაშავებული საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე ზოიძე), ახალაია, შაშიაშვილი, ორბელაძე, კვირკველია, ბურდული, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, უმცროსი ვიტალი დარასელია, მელქაძე, ალექსიძე. დამეთანხმებით, ასეთ კამპანიაში ისეთ საკვანძო პოზიციაზე დამკვიდრება, როგორიცაა საყრდენი ნახევარმცველი, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ჰოდა, ჩვენი წერილის პერსონაჟი სწორედ ასეთად გვევლინებოდა არა მარტო რუსეთის დედაქალაქში გამართულ ტურნირზე, არამედ ყველგან, სადაც ჯიგრიანი თამაშით ანთებდა ცეცხლს და პარტნიორებს ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული მიუძღოდა ბრძოლაში მეტოქის პოზიციებისკენ საიერიშოდ.**

**შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ასეთი კოლეგები იქცნენ მის კერპებად: რედონდო, დუნგა, კინი, ნემსაძე, კანკავა და რეხვიაშვილი ნებისმიერ ვითარებაში ახერხებდნენ თანაგუნდელთა აყოლიებას და უიმედო სიტუაციებიდან გამოსავლის პოვნას.**

**ვფიქრობ, გულშემატკივართა და მკითხველთათვის საინტერესო იქნება უბერებელ ვეტერანთან ჩაწერილი ინტერვიუ, რომელიც უკვე მწვრთნელის ამპლუაში განაგრძობს საყვარელი საქმის ერთგულებას და, მე თუ მკითხავთ, უკიდეგანო კარიერული გეოგრაფიის გათვალისწინებით, ქართული ფეხბურთის მიკლუხო-მაკლაიდ შეგვიძლია მოვნათლოთ.**

**— წარმომიდგენია, როგორი ძნელია, როცა ცხოვრებისეულ მოწოდებასთან განშორების ჟამი დგება და სიცარიელეში გადაინაცვლებ. შენ როგორ მოახერხე, რომ ფეხბურთში შეგენარჩუნებინა ადგილი?**

— საამისოდ კარგა ხნის განმავლობაში ვამზადებდი თავს, რადგან მიმაჩნდა, რომ საკმარისი მოტივაცია გამაჩნდა საიმისოდ, რომ მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობა დამეწყო. ეს, ასე ვთქვათ, ჩემი ორგანული მოთხოვნილება იყო.

**— მაგრამ ერთია დაისახო მიზანი და მთავარია, როგორ შეძლებ მის ხორცშესხმას.**

— ბედნიერი ვარ, რომ ამჟამად „საბურთალოს“ აკადემიაში 2007 წელს დაბადებულ ბავშვებს ვავარჯიშებ და მათთან მუშაობით მეც ბევრს ვსწავლობ. ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ აუცილებელია, პროცესებს არ ჩამორჩე და მუდმივად ვითარდებოდე.

**— ალბათ, საკუთარი ტაქტიკური კრედოც გექნებათ გამომუშავებული...**

— რასაკვირველია, როგორც ყველა სპეციალისტი, მეც გარკვეულ სქემას ვთავაზობ შეგირდებს. მართალია, დაცვითი სტილის მომხრე არა ვარ, მაგრამ არც თავქუდმოგლეჯილ შეტევებს ვანიჭებ უპირატესობას. გააჩნია კონკრეტულ შემთხვევაში მეტოქის თავკაცის მიერ დაპირისპირებულ მონახაზსაც. მოკლედ, მრავალფეროვნება და პრაგმატიზმი – აი, ჩემი რეცეპტი, თუმცა, ეს არ გულისხმობს წარმატების მიღწევას ყველაფრის, მათ შორის – ანტიფეხბურთის ფასად.

**— ეს სათქმელადაა ადვილი, შესასრულებლად კი, დამეთანხმები, პროფესიული სრულყოფაა საჭირო...**

— მართალი ბრძანდებით და ამაზეც ვზრუნავ. კერძოდ, დავით პეტრიაშვილის სახელობის სტადიონზე უკვე B ლიცენზიის მეხუთე მოდული დავასრულე, აპრილის ბოლოს კი უკანასკნელ – მეექვსე მოდულს დავამთავრებ. იქ ძალიან ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან, რომელიც პერსპექტივის თვალსაზრისით შეუფასებელი სიმდიდრე და ძვირფასი მარაგია. მოკლედ, რომ მეგონა, ბევრი რამ ვიცოდი, თურმე ასე არ ყოფილა.

**— როგორც შევიტყვე, ესპანეთშიც მოასწარი „უმაღლესი“ განათლების მიღება...**

— დიახ, დილარ ხაბულიანმა მიმავლინა ბარსელონაში მარცეტის სახელობის აკადემიაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ჩვენი ურთიერთობა ჩემი ფეხბურთელობის პერიოდში დაიწყო და შემდგომ თანამშრომლობაში გადაიზარდა, ამიტომ მუდამ მისი მადლიერი ვიქნები. პირენეებზე პრაქტიკულად ვეხმარებოდი მწვრთნელს ვარჯიშებზე და იქაურთა ფილოსოფიას გავეცანი, რომელიც ძალიან ახლოსაა ჩემს ხედვასთან და ჩემში ჯდება.

სხვათა შორის, იქ ბატონი დილარის 2004 წელს დაბადებული ვაჟი, ძალიან პერსპექტიული თავდამსხმელი გიორგი ხაბულიანი თამაშობს და ხვეწს ოსტატობას.

**— დღეს მორიგი ეროვნული ჩემპიონატი იწყება და, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით მის შენეულ შეფასებას...** *(საუბარი ჩაწერილია 29 თებერვალს).*

— ფაქტია, რომ ინფრასტრუქტურაც გაუმჯობესდა და მწვრთნელთა პროგრესიც შესამჩნევია, მაგრამ ვისურვებდი, რომ ეს პროცესი უფრო სწრაფად ვითარდებოდეს.

**— არანაკლებ საინტერესოა, როგორც მისი ყოფილი წევრი, რამდენად საფუძვლიანად მიიჩნევ იმ ოპტიმიზმს, რომელიც საქართველოშია გამეფებული ბელარუსთან ჩვენი ეროვნული ნაკრების მოახლოებული ისტორიული საევროპე პლეი-ოფის წინ...**

— თითქმის ყველას, მათ შორის მეც, ჩვენი გუნდი ფავორიტად მიმაჩნია, მაგრამ ნურც მეტოქის შანსებს დავაკნინებთ, მით უმეტეს მაშინ, როცა მისი ლეგიონერები კარგ უცხოურ კლუბებში თამაშობენ. მოკლედ, ძალიან მძიმე ბრძოლა გველის და ბიჭებს სისხლის უკანასკნელი წვეთის გაღებას ვურჩევ.

**— და ბოლოს, როგორაა სპორტული დინასტიის საქმე?**

— მართალია, ჩემი ერთადერთი 16 წლის გოგონა ნიცა გოგობერიშვილი ჯერჯერობით სპორტით არაა „დაავადებული“, მაგრამ, სამაგიეროდ, უყვარს სწავლა, კითხვა და ხატვა...

**ესაუბრა**
**გია პლატონიშვილი**

**„კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგა. I ტური.**
„დინამო“ – „თელავი“ 0:0, „საბურთალო“ – „ჩიხურა“ 2:1, „ტორპედო“ – „დილა“ 0:2, „ბათუმი“ – „მერანი“ 0:0, „ლოკომოტივი“ – „სამტრედია“ 3:1.

## სადარბაზო ბარათი




**ალეკო გოგობერიშვილი** დაიბადა 1977 წლის 16 თებერვალს თბილისში.

**პირველი კლუბი:** კასპის „რკონი“.

**კარიერა:** „დინამო“, „შევარდენი“, „გურია“, „მერანი“, „ლოკომოტივი“, „ვიტ ჯორჯია“, „სიონი“, „ბაია“; „ანჟი“; „ბაკი“, „ყარაბაღი“, „ოლიმპიკი“ (ბაქო).

**ეროვნული ნაკრები:** 5 მატჩი, მათ შორის კვიპროსისა და რუმინეთის გუნდების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრებში – ძირითად შემადგენლობაში.

**ტიტულები:** საქართველოს სამგზის ჩემპიონი და დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის ორგზის მფლობელი; აზერბაიჯანის ჩემპიონი და თასის გათამაშების გამარჯვებული.

◉ დღის წესრიგში

# საქართველოს ველური ვაზის შესწავლა და დაცვა

**სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების გრანტის ფარგლებში, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით აგრძელებს პროექტს „საქართველოს ველური ვაზის შესწავლა და დაცვა“. 3-წლიანი პროექტის მიზანია ველური ვაზის გავრცელების თანამედროვე არეალის შესწავლა, საქართველოს ფარგლებში ახალი ფორმების მოძიება, მათი დაცვის მიზნით ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე დამაგრება, ველური ვაზის დაცვის სტრატეგიის ჩამოყალიბება, კოლექციაში არსებული ველური ვაზის ფორმების ამპელოგრაფიული აღწერა და კატალოგის მომზადება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ამ პროცესში სტუდენტების ჩართვას და ამ კუთხით ცნობიერების გაზრდას.**



პროექტის „საქართველოს ველური ვაზის შესწავლა და დაცვა“ ფარგლებში უკვე მიმდინარეობს ექსპედიციები, გავრცელებული ველური ვაზის ბუნებრივი პოპულაციების მოძიება, ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე დამაგრება და კვლევა. 2019 - 2020 წლების განმავლობაში მოძიებულია ველური ვაზის 6 ახალი პოპულაცია და 17 მცენარე, გასამრავლებლად შეგროვებულია 66 გენოტიპი.

აღსანიშნავია, რომ ველური ვაზი საქართველოს ფლორის ტიპური მცენარეა და წარსულში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ფართოდ იყო გავრცელებული. 1982 წელს ის საქართველოს წითელ წიგნში იყო შეტანილი. საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ ხაზს უსვამს საქართველოს ველური ვაზის მნიშვნელობას და მას ვაზის ქართულ ჯიშებთან ერთად „ეროვნულ სიმდიდრედ“ მიიჩნევს.

# ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2019 წლის ფინანსური ანგარიში

2019 წელს სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით არის 108835 ლარი.

2019 წელს გაწეულია **99346** ლარის ხარჯი. ჩატარდა 42 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ომის მონაწილის 4 ვეტერანთან შეხვედრა, 95 ვეტერან-ქალბატონებისთვის 3 და 8 მარტის აღნიშვნა და დეკემბრის თვეში მოეწყო 85 წლის და ზევით 29 ვეტერან-ენერგეტიკოსებთან შეხვედრა - სულ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე გადაცემული იყო **4976** ლარის საჩუქარი.

2019 წელს 174 ვეტერანზე გაცემულია დახმარება **26456** ლარი, გაწეულია საკანცელარიო ხარჯი **857** ლარი, ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა **44524** ლარი, წახალისების ფონდის (ჯილდო,პრემია) ხარჯმა შეადგინა **16950** ლარი, კომუნიკაციურ მომსახურეობაზე დაიხარჯა **1066** ლარი, ჩარიცხვის საკომისიოს ხარჯი 1 ლარი, ბანკის მომსახურეობისათვის გადახდილია **153** ლარი, გაზეთში განცხადებების განთავსებაზე დახარჯულია **1469** ლარი, კომპიუტერის ხარჯი **175** ლარი, დარიცხულია 2019 წლის ამორტიზაცია **160** ლარი, დაერიცხა ქონების გადასახადი 7 ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის დახარჯულია **301** ლარი, აუდიტის მომსახურეობაზე გადახდილია **300** ლარი, ოფისის იჯარისთვის გადახდილია **600** ლარი, იუბილარი ვეტერანების ღონისძიებებზე და ვეტერანებთან შეხვედრებზე სურათების დამზადებაზე დახარჯულია **32** ლარი, ექსკურსიის მომსახურეობაზე გაწეულია **250** ლარი, იუბილარ და ომის მონაწილე ვეტერანებისთვის მოწყობილ ფურშეტზე დაიხარჯა **825** ლარი, დაგროვებითი პენსიის ხარჯი **244** ლარი.

ბალანსი 1/01-2020 წლისთვის

| აქტივი | წლის დასაწყისსი | საანგარიშო პერიოდის ბოლოს | პასივი | წლის დასაწყისსი | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები (1110, 1210) | 8035 | 7528 | მიმდინარე ვალდებულებები | | 59 |
| სხვა მიმდინარე აქტივები (1490, 1700, 1900) | 3053 | 5212 | შემოსავალი (6190) | 11889 | 13322 |
| გრძელვადიანი აქტივები (2160) | 801 | 641 | სხვა მიმდინარე ვალდებულებები (3320) | | |
| სულ აქტივები | 11889 | 13381 | სულ პასივები | 11889 | 13381 |

თავმჯდომარე — იაშა ბოლქვაძე
ბუღალტერი — ციცინო ბენაშვილი
ფინანსური მენეჯერი — ნინო ჩირგაძე

სანთელი

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე სამძიმარს უცხადებენ ჯემალ გორგოძეს ძმის

**შოთა ვარლამის ძე გორგოძის**

გარდაცვალების გამო.

არკადი ჟორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ თამარ ბებურიძეს ძმის

**ლევან ბებურიძის**

გარდაცვალების გამო.

ჟორდანიას რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე ადამიანი და ექიმი

**დავით სუხიაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



# გეომაგნიტური ქარიშხალი

**მაგნიტური ქარიშხლების გავლენას ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ამა თუ იმ დონით, აბსოლუტურად ყველა შეიგრძნობს.**

**მარტის მაგნიტური ქარიშხალი ყველაზე ძლიერი იქნება მიმდინარე წელს და ის სერიოზულად აისახება ადამიანების ჯანმრთელობაზე, იუწყება მედია ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტზე დაყრდნობით.**

მაგნიტური (გეომაგნიტური) ქარიშხალი — ეს დედამიწის გეომაგნიტური ველის შფოთვაა, რომელსაც პლანეტის შემოგარენში მზის ქარის ნაკადების შემოჭრა და მათი დედამიწის მაგნიტოსფეროსთან ურთიერთქმედება იწვევს. მოვლენა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღის განმავლობაში უწყვეტად.

აღსანიშნავია, რომ მაგნიტური ქარიშხლების გამო ყველაზე ცუდად თავს იგრძნობენ გულ-სისხლძარღვთა და სახსრების დაავადებებისა მქონე, ასევე ჰიპერტონიისადმი მიდრეკილი, მეტეოდამოკიდებული და ფსიქოემოციურად არასტაბილური ადამიანები. თუმცა ჯანმრთელობის პრობლემებს, ამა თუ იმ დონით, აბსოლუტურად ყველა შეიგრძნობს.

მედიკოსების თქმით, მეტეოშეტევების დროს თავს იჩენს უმიზეზო თავისტკივილი, შაკიკი, არტერიული წნევის ცვალებადობა, განწყობის ცვლა — აღგზნებიდან აპათიამდე, უძილობა და დეპრესიული განწყობა.

მედიკოსები მაგნიტურ ქარიშხალთან დაკავშირებით შემდეგ რეკომენდაციებს იძლევიან:

- **დაწექით დასაძინებლად შეძლებისდაგვარად ადრე - ძილის დროს გამოყოფილი მელატონინი ეხმარება ორგანიზმს აღდგენაში და ასევე ნორმაში მოჰყავს სისხლის წნევა; გაღვიძებისას კი (განსაკუთრებით ჰიპერტონიკები) არ უნდა წამოდგეთ საწოლიდან მკვეთრად;**
- **კარგია კონტრასტული შხაპის მიღება — ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას თქვენი ჯანმრთელობისთვის უკუჩვენება არა აქვს;**
- **დღის განმავლობაში ერთხელ მაინც უნდა გაისეირნოთ ჰაერზე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენჯერმე გაანიავოთ ოთახი — სუფთა ჰაერი დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე;**
- **არ არის რეკომენდებული ალკოჰოლური სასმელებისა და ყავის მიღება, ასევე თამბაქოს მოწევა;**
- **საუკეთესო მენიუ ასეთ დღეებში არის ხილი, ბოსტნეული, ფაფები, ქათმის მოხარშული ხორცი და თევზეული;**
- **მიიღეთ ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი და მატონიზირებელი პრეპარატები, რომლებიც ექიმის მიერ გაქვთ დანიშნული;**
- **ნერვული აშლილობისას საუკეთესოა ნატურალური დამამშვიდებელი საშუალებების მიღება — კატაბალახას (ვალერიანი), ბარამბოსა თუ შავბალახას ნახარში ან ნაყენი;**
- **კარგი იქნება, თუ სტრესს თავს აარიდებთ და სხვა დროისთვის გადადებთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას.**

# განცხადება

**ქალაქ რუსთავში, ნოტარიუს მაია მეტრეველთან (მისამართი: ქალაქი რუსთავი, შარტავას გამზირი №5-100) მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება 1996 წლის 11 მარტს გარდაცვლილ მაშო პარასკევოვას (დაბადებული 1932 წლის 13 თებერვალი) სამკვიდრო ქონებაზე. დაინტერესებულმა პირებმა სამკვიდროს მისაღებად განცხადება შეგიძლიათ წარადგინოთ ზემოაღნიშნულ ნოტარიუსთან.**

**განმცხადებელი ზოია პარასკევოპულუ.**

# ხაჭაპურის ტრადიცია საქართველოში

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საქართველოს გასტრონომიის ასოციაციამ გამართა საგენგებო კონფერენცია და წარმოადგინა წიგნი ამავე სახელწოდებით „ხაჭაპურის ტრადიცია საქართველოში“.**

ხაჭაპურის ტრადიციის სხვადასხვა მიმართულებით შესრულებული პირველადი კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ საქართველოში ხაჭაპურის 50-ზე მეტი სახეობა არსებობს, თუმცა ეს ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი. ამ არამატერიალური ფასეულობის შენარჩუნება ქვეყნის თითოეული მოქალაქის მოვალეობაა, ამ სფეროს განვითარებასა და პოპულარიზაციაში თავისი განსაკუთრებული წვლილი უნდა შეიტანოს მეცნიერებამ, ბიზნესმა და სახელმწიფომ. სწორედ ასეთ „ეროვნულ პროდუქტად“ განიხილება „ხაჭაპურის ტრადიცია საქართველოში“. მნიშვნელოვანია ხაჭაპურის პოპულარიზაცია, რათა გაიზარდოს მისი, როგორც ქართული პროდუქტის ცნობადობა საერთაშორისო სივრცეში.



კონფერენციის დასასრულს გასტრონომიის ასოციაციის ინიციატივით 27 თებერვალი ხაჭაპურის დღედ გამოცხადდა, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქართული გასტრონომიული კულტურის პოპულარიზაციის პროცესში.




**რევაზ თოფურია**

# ბერლინალეს პრიზიორი ირანული ფილმი



**ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ბერლინალეს მთავარი პრიზი, „ოქროს დათვი“ ირანელი რეჟისორის მოჰამად რასულოფის ფილმს „ბოროტება არ არსებობს“ ერგო.**

ფილმში ოთხი ფილოსოფიური ამბავია მოთხრობილი, რომლებიც ადამიანის არცთუ მარტივ არჩევანს ეხება.

მოჰამად რასულოფი დაჯილდოების ცერემონიას არ ესწრებოდა, რადგანაც პოლიტიკური მოტივით 2017 წლიდან ქვეყნის დატოვება აკრძალული აქვს. ჯილდო მისმა ქალიშვილმა მიიღო.

# ნაგვიანევი მონანიება



**რუსი მსახიობი ანატოლი ბელი ნანობს, რომ მონაწილეობა მიიღო აგვისტოს ომის შესახებ რუსულ ფილმში „აგვისტო. რვა“, — ამის შესახებ მსახიობმა ტელეარხ RTVI-ს ეთერში განაცხადა.**

**„ვნანობ, იმ ფილმში მონაწილეობა რომ მივიღე. იმ მომენტისთვის ჩემი პოლიტიკური სიბრმავე და უცოდინარობა იყო მიზეზი. საერთოდ არ მესმოდა, თუ რა ხდებოდა. აბსოლუტურად ინფანტილური პოლიტიკური ადამიანი ვიყავი და ეს ცუდად შემომიბრუნდა“,** — განაცხადა მსახიობმა.

მისივე თქმით, ის შავ სიაშია, რის გამოც საქართველოში რამდენიმე წლის წინათ არ შეუშვეს.

ფილმი „აგვისტო. რვა“ რუსული პროპაგანდის ნაწილია, რომელიც 2008 წლის ომის შესახებ რუსეთის პოზიციას ასახავს.



# ჰერცოგინიას სუპერგმირის თამაში სურს

**სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლს სუპერგმირის როლის შესრულება სურს.**

მეგანმა უკვე დაავალა თავის აგენტს, ნიკ კოლინსს რომელიმე ბლოკბასტერში სუპერგმირის როლი მოუძებნოს.

რამდენიმე თვის წინათ მეგანმა Disney-სთან გააფორმა კონტრაქტი. მსახიობი Disney-ის გმირებს გაახმოვანებს, მიღებულ შემოსავალს კი სპილოების დახმარების ფონდში გადარიცხავს.

ამასთან ერთად, Disney ფლობს კინოსტუდია Marvel-ს და კომიქსების პერსონაჟების საავტორო უფლებებს, რამაც შეიძლება მეგანს სუპერგმირის როლისკენ გზა გაუხსნას.

# ნიუ-იორკში, ერის ტბის მიმდებარედ, სახლები ყინულით დაიფარა

**ნიუ-იორკში ძლიერი ქარისა და ზამთრის შტორმის გამო, ერის ტბის მიმდებარედ სახლები ყინულით დაიფარა. ინფორმაციას ამის შესახებ CNN-ი ავრცელებს.**



ტბასთან წარმოქმნილმა ძლიერმა ქარმა ნაპირზე მაღალი ტალღები გადაისროლა, რომელიც მომენტალურად გაიყინა. ყინულმა სრულად დაფარა სახლები და სხვა ნაგებობები.

ფოტოები ფილმ „გაყინულის“ ეპიზოდს მოგაგონებთ. სანახაობა მართლაც სიურეალისტური და უჩვეულოა, თუმცა მცხოვრებლები შეშფოთებული არიან, რადგან ყინულმა შესაძლოა, სახლების სტრუქტურა დააზიანოს.

# საიდუმლო დერეფანი

**ლონდონში, ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის შენობის ქვეშ მე-17 საუკუნის კარი აღმოაჩინეს.**



აღმოჩენა შენობის რესტავრაციის პროექტის ფარგლებში გაკეთდა. სპეციალისტებმა 10 000-მდე დოკუმენტის შესწავლის შემდეგ აღმოაჩინეს გეგმა, რომელზეც კარი და მის უკან არსებული დერეფანია გამოსახული.

გაირკვა, რომ საიდუმლო გასასვლელი 1661 წელს, მეფე ჩარლზ მეორეს კორონაციისთვის შექმნეს. სწორედ ამ დერეფნის გავლით ხვდებოდნენ მაღალი რანგის სტუმრები სადღესასწაულო ბანკეტზე ვესტმინსტერის სასახლეში. მოგვიანებით ამ დერეფანს პარლამენტის წევრები თემთა პალატაში შესასვლელად იყენებდნენ. შემდეგ კი დერეფანი ჩაკეტეს.

## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 5 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7905; ევრო - 3.0782;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5975;
100 რუბლი - 4.1597; თურქული ლირა - 0.4485;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6435;
1000 სომხური დრამი - 5.8257.

**ამინდი 3 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე | +15 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2 | დღე | +20 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე | +19 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge